ISSN 0132 — 5973

ჯარისკაცი

5
1980

იმ ცხრა მაისის შუქი ცისქვეშ არასდროს ჩაქრეს!

გამარჯვების მოლი

აკაკი გენწაძე

ჰა, ისმის გრგვინვა რისხვის,
ქვემეხი სისხლში გორავს.
კვნესა-გოდება ისმის,
ახლა რკინაც კი ბოლავს.
ყვავილებს ტყვია ცელავს,
ბაღჩა-ბაღს ხიშტი ბარავს,
ომის ურჩხული თელავს
მოსამკელ პურის ყანას.
მეუფეობ ცეცხლის,
მეუფეობა ნაცრის,
გუგუნებს მიწა მკაცრი,
გუგუნებს ზეცა მკაცრი.
ზეცას, ზღვასა და მიწას
დიდხანს ეკიდა ცეცხლი,
მზე დენთის კვამლში იწვა,
სისხლში ცურავდა ფერფლი...
მერე მოვიდა მშვიდი
დიდი ნანატრი წუთი,
ცხრა მაისის მზე დიდი,
ცხრაას ორმოცდახუთის.
დღეს ვწყევლით ომის ავდარს,
ვხარობთ მშვიდობის წლებით,
დღესაც ის შუქი გვადგას,
იმ მაისის მზით ვთბებით...
და ვნატრობთ:
ქვეყნად ენთოს
მარად მშვიდობის დღენი,
ყველა ერთმანეთს ენდოს,
მზეც ღიღინებდეს ლხენით.
ომის ღრუბელი ქუფრი
არსად ბერავდეს აფრებს,
იმ ცხრა მაისის შუქი
ცისქვეშ არასდროს ჩაქრეს!

გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი საბჭოთა მწერალი ბორის პოლევოი დიდი სამამულო ომის წლებში გაზეთ „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი იყო. თავის მრავალ ფრონტულ კორესპონდენციათა შორის მას ყველაზე სამახსოვროდ მიაჩნია 1945 წლის 25 აპრილს ბერლინის ცენტრში გაჩაღებული ბრძოლების დროს ნაჩქარევად დაწერილი პატარა რეპორტაჟი საბჭოთა ჯარისკაცის ფრიად ამაღელვებელი საქციელის შესახებ. გთავაზობთ ბ. პოლევოის წერილს ამ ამბის თაობაზე.

16 417

ბორის პოლევოი

ყველაზე საქმიანი რეპორტაჟი

ჯერ მანქანით ვიარე, შემდეგ ფეხით გავყევი ნანგრევებში გაკვალულ გზას და ცეცხლის ერთ-ერთ წინა ხაზს მივადექი, სადაც რკინიგზის ჯებირს მიღმა ჩასანგრებულ ესესელთა ბატალიონთან ბრძოლა იყო გაჩაღებული. ყოველი წერტილი გამოეთოფათ. ჩვენებისა და გერმანელთა პოზიციებს შორის ფართო ქუჩა გაჭიმულიყო, ორივე მხარეს გაყოლებული ბებერი წიფლის ხეივნებით. შუა ქუჩაში ძველი, უკვე დანგრეული აგურის საპირფარეშო იდგა. აგურის გროვასთან ტყვიით განგმირული ქერა ქალის გვამი მოჩანდა. მკვდარი დედის გარშემო ოქროსფერკულულებიანი, ოთხიოდე წლის გოგონა დაფორთხავდა.

როცა ქალაქში ქვემეხების გრიალი და ტყვიამფრქვევების კაკანი წამით მიწყდებოდა, მკაფიოდ მოისმოდა, რა საწყალობლად ტიროდა გოგონა.

ტრანშეის წინა ხაზთან, რომელიღაც სახლის ნანგრევებში მიწყობილ აგურის მიწაყრილთან ჯარისკაცები შეჯგუფულიყვნენ და კისერწაგრძელებულები იყურებოდნენ იქითკენ, საიდანაც ტირილი ისმოდა.

— კიდევ ტირის.

— იტირებს, აბა რა! დედა მკვდარი უწევს.

— უნდა გამოვიყვანოთ, მაგრამ როგორ? აგერ, ჭზვერავმა მიწაყრილიდან კონდახზე ჩამოცმული მუზარადი ცოტაზე ამოწია და იმ წამსვე ზედ სამი ნახვრეტი გაჩნდა...

უცებ თითქმის დაუჯერებელი რამ დავინახე. ერთი ტანმაღალი ჯარისკაცი ნახტომით გადაევლო მიწაყრილს და იდაყვებით ასფალტზე გახოხდა. მყისვე სროლა აუტეხეს. აწივლდნენ ასფალტზე ასხლეტილი ტყვიები. მაგრამ ჯარისკაცი მაინც მიხოხავდა და მიხოხავდა. გოგონამდე მიაღწია და ხელში აიყვანა იგი, ნანგრევი ისაფრა და გულზე მიკრულ გოგონას რწევა დაუწყო. სროლა შეწყდა. ორივე პოზიცია დადუმდა. ჯარისკაცი უკან გამოხოხდა, ოღონდ ახლა იდაყვებს ვერ მოიმარჯვებდა, რადგან ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი, არც მისი მიზანში ამოღება იყო უკვე ძნელი. მაგრამ არ ესროდნენ. და მხოლოდ იმ დროს, როცა მიწაყრილზე გადმოცოცება დაიწყო, გაისმა ერთადერთი — სნაიპერული—სროლის ხმა. ჯარისკაცმა მაინც შესძლო მიწაყრილზე გადმოფორთხება, გოგონა მისკენ გამოწვდილ ხელებს გადასცა და დიდის გაჭირვებით ამოთქვა:

— ბავშვი წაიყვანეთ, მე კი, ეტყობა, გათავებული ვარ.

გარშემო კვლავ აგრიალდა, ატკაცუნდა ყველაფერი. სროლა განახლდა. ისევ გაჩაღდა ბრძოლა.



საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში. ქანდაკება ე. ვ. ვუჩეტიჩისა.

ერთი საათის შემდეგ გაზეთის რედაქციაში ტელეგრაფით გადავეცი მოკლე რეპორტაჟი ამ შემთხვევის შესახებ. რეპორტაჟს სათაურად ჰქონდა „წინა ხაზი ეიზენშტრასეზე“. მასში მხოლოდ სამხედრო ნაწილის სახელწოდება და ჯარისკაცის გვარი და სახელი იყო ნახსენები. კორესპონდენცია მეორე დღესვე დაიბეჭდა, მაგრამ ამ არაჩვეულებრივი გმირობის ამბავი მანამდე გახდა ცნობილი კორესპონდენტთა კორპუსისათვის და ჩემმა მეგობარმა კორესპონდენტმა მარტინ მერეანოვმა დამიყოლია, უფრო დაწვრილებით გამომეკვლია ეს შემთხვევა. ორივენი გავყევით ევაკუირებული დაჭრილი ჯარისკაცის კვალს. კვალმა შპანდაუს გიმნაზიის შენობაში შეგვიყვანა, სადაც საველე ჰოსპიტალი იყო მოთავსებული. იქ ჩვენ გვითხრეს: დიახ, მძიმედ დაჭრილი ლუკიანოვიჩი აქა წევს, მაგრამ ძალიან ცუდად არის, მასთან დიდხანს საუბარი არ შეიძლებაო. საუბრისთვის ხუთი წუთი გვაკმარეს.

რა უნდა მოგვესწრო ხუთ წუთში?

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ГОТОВЬ К ТРУДУ И ОБОРОНЕ

ჯიონერი

5 მაისი 1980

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმის გაგებაღა მოვახერხეთ, რომ იგი არის ტრიფონ ანდრიას ძე ლუკიანოვიჩი... უფროსი სერჟანტი... მინსკის მკვიდრი... ომამდე რადიოქარხანაში მუშაობდა ზეინკლად... წითელ არმიაში ომის პირველ დღეებშივე წავიდა... იბრძოდა სტალინგრადში... იქ დაიჭრა და პირველი ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო. მდინარე ვისლის გადალახვის დროს თავი გამოიჩინა და დიდების ორდენით დაჯილდოვდა. ამას წინათ კიდევ ერთი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

ოჯახურ მდგომარეობაზე რომ ვკითხეთ, უკვე გალურჯებული ბაგეებით გვიპასუხა:

— ოჯახი არა მყავს.

— არცა გყოლიათ?

— მყავდა. ცოლი, ორი გოგონა. მოხუცებული სიდედრიც ჩვენთან ცხოვრობდა. ყველანი, ჩვენს სახლთან ერთად, ფაშისტმა ბომბით მოსპო.

ექიმმა ქალმა გვანიშნა, ხუთი წუთი ამოიწურაო.

— იქნებ რაიმე დაგვაბაროთ, თუ ვინიცობაა მინსკში მოვხვდით?

— თუ ჩემს ქალაქში მოხვდებით, რადიოქარხნის მუშებს გადაეცით: ტრიშკა ლუკიანოვიჩმა დიდხანს სიცოცხლე გიბრძანათ-თქო, — თქვა და დაღლილად დახუჭა თვალები. რამდენიმე საათის შემდეგ კი გარდაიცვალა.

გაზეთში გამოქვეყნებულმა პაწია რეპორტაჟმა საზოგადოებრიობა დააინტერესა. მოქანდაკე ევგენი ვიქტორის ძე ვუჩეტიჩმა, რომელსაც აწ საყოველთაოდ ცნობილი მემორიალი ჰქონდა ჩაფიქრებული, დაწვრილებით გამოგვკითხა მე და მერჟანოვს, რა სიმაღლისა იყო ტრიფონ ლუკიანოვიჩი, როგორი ტანი, როგორი სახის ნაკვთები ჰქონდა. სამწუხაროდ, ჩვენ ბევრის არაფრის თქმა არ შეგვეძლო. მაგრამ ცხოვრება ძალზე ნიჭიერი თანაავტორია ხელოვნების ყველა დარგის მუშაკთათვის. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ სტალინგრადის ბრძოლების ერთ-ერთი გმირის, ვ. ი. ჩუიკოვის არმიაშიც მოხდა ასეთივე ამბავი — მებრძოლმა ნიკოლოზ მასოლოვმა გერმანელი ბავშვი გადაარჩინა რაიხსტაგზე იერიშის დროს. არმიის სარდალმა ამის შესახებ უამბო ვუჩეტიჩს. მოქანდაკემ მოძებნა მასოლოვი და გაიცნო იგი.

ორმა საბჭოთა ჯარისკაცმა ბერლინში ერთი და იგივე გმირობა ჩაიდინა, და ამ გმირობაში, როგორც წვიმის წვეთში მზე, ისე აირეკლა საბჭოთა არმიის დიდი ჰუმანიზმი. ორივე ეს გმირობა დღემდე ახსოვთ ბერლინის ხანდაზმულ მცხოვრებლებს.

ის პაწია კორესპონდენცია ჩემთვის განსაკუთრებულად სამახსოვროა იმით, რომ ცხოვრება წლების მანძილზე განაგრძობდა მის შევსებასა და განვრცობას. მე—ლუკიანოვიჩის გმირობის მხილველი, ბერლინში ჩასვლისას ყოველთვის ვცდილობდი, მომეძებნა ის ადგილი, სადაც ესოდენ ამაღელვებელი ამბავი მოხდა. ვეძებდი აღმოსავლეთ ბერლინში, ვეძებდი დასავლეთ ბერლინში, მაგრამ ეიზენშტრასეს ქუჩა არცერთგან არ იყო.

მაგრამ აი, ერთმა პოპულარულმა გერმანულმა ჟურნალმა დაიწყო ჩემი წიგნის — „ბერლინამდე 896 კილომეტრია“-ს ბეჭდვა. წიგნის ერთ-ერთ თავში მოთხრობილია ის ამბავი, მე რომ ჩემი თვალით ვნახე ბერლინში, ბრძოლის წინა ხაზზე. მოკლე ხანში რედაქციამ ბევრი წერილი მიიღო. ხანდაზმული გერმანელები, რომელთაც ახსოვდათ ლუკიანოვიჩის გმირობის ამბავი, იწერებოდნენ, რომ ეს შემთხვევა ეიზენშტრასეზე კი არ მოხდა, არამედ ელზენშტრასეზე. ერთი მკითხველის აზრით, ჩემი შეცდომა ალბათ იმან გამოიწვია, რომ ქუჩის ფირნიშზე ასო l-ის თავთან ტყვია იყო მოხვედრილი და გერმანული ასო l(ლ) გადაიქცა i-დ. ასე ვიპოვეთ გმირობის ჩადენის ადგილი. ბერლინის მაგისტრატის გადაწყვეტილებით იქ მემორიალი დაიდგა, რომლის სპილენძის დაფაზე ამოკვეთილია: „ტრიფონ ლუკიანოვიჩმა, უფროსმა სერჟანტმა, 1945 წლის 25 აპრილს ამ ადგილას ესესელთა ტყვიისაგან იხსნა გერმანელი ბავშვი. გმირული საქციელის ჩადენიდან 5 დღის შემდეგ იგი მძიმე ჭრილობებისაგან გარდაიცვალა ჰოსპიტალში. სამარადისო დიდება მას!“

ამ სადა მემორიალთან ყოველთვის აწყვია ცოცხალი ყვავილების თაიგულები. მის მახლობლად ჩერდებიან ტურისტული ავტობუსები. ბერლინში მდგარი საბჭოთა გარნიზონების ჯარისკაცები დიდი ოქტომბრის წლისთავზე და 1 მაისს პატივს სცემენ ტრიფონ ლუკიანოვიჩის ხსოვნას. ბელორუსიის სახალხო პოეტმა პეტრუს ბროვკამ გმირის უკვდავებას ლექსი მიუძღვნა. სახალხო მხატვარი ზაირ აზგუსი მუშაობს მემორიალზე, რომელიც იმ შენობასთან უნდა დაიდგას, სადაც ლუკიანოვიჩი ომამდე მუშაობდა. მინსკის საწარმოთა საამქროებში ბევრია ლუკიანოვიჩის სახელობის ბრიგადა. დედები თავიანთ შვილებს არცთუ ისე გავრცელებულ სახელს — ტრიფონს არქმევენ.

დიახ, არაფერია დავიწყებული.

თენგიზ მორჩილაული

რამდენი ღიმილი,
ფერები რამდენი,
რამდენი სითბო და ალერსი...
ბრიალა დროშებით,
წითელი ვარდებით
მოვიდა მაისი!
ცა, ხმებით შეძრული,
ლილისფრად იღვრება,
ბარდვებში ზეიმობს
სიცოცხლე ჯანმრთელი.
გზა! — ლამაზ მამულზე
დარხეულ სიმღერებს,
სულში და ფილტვებში
ჩანთებულს.
სხეულს ერუანტელად
უვლის და ედება
ჰაერის სიტკბო და სინედლე.
ქუჩები, სახლები,
მინდვრები, ქედები
სავსეა მზითა და სინათლით.
ღიმილი რამდენი,
ფერები რამდენი,
რამდენი ეშხი და ხალისი!
ანთებულ დროშებით,
ყვავილთა ფანტელით
მოვიდა მაისი.

ჩვენი პორტრეტი

იდგა დაუვიწყარი 1922 წელი. წელი, რომელმაც განსაზღვრა ჩემი მომავალი, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება.

ხაშურის კომკავშირის რაიკომმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ძნელაძის დავალებით სამხედრო სკოლაში ჩასარიცხავად ყველაზე მოწინავე და აქტიური კომკავშირელებიდან შეგვარჩია ექვსი კაცი, მაგრამ ამათგან სკოლაში სამანდატო კომისიამ მხოლოდ ორი — სერგო პატარქალიშვილი და ნიკოლოზ მათიაშვილი ჩარიცხა. მე ასაკის გამო მითხრეს უარი — თვრამეტი წელი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ შემისრულდებოდა. მწარედ დამწყდა გული. წითელ მეთაურად გახდომა ჩემი ჭაბუკობის ოცნება იყო, ეს სკოლა კი სწორედ მაღალი სამხედრო მომზადების მქონე მეთაურებს (ფეხოსნებს, არტილერისტებს და ცხენოსნებს) ამზადებდა.

ამხანაგებმა შემაგულიანეს, წადი სკოლის კომისართან, ბორის ძნელაძესთან, ის დაგეხმარებაო. მე არ ვიცოდი, რომ სკოლის კომისრად მაშინ შეთავსებით თვითონ ბორის ძნელაძე მუშაობდა. მოკრძალებით შევაღე მისი კაბინეტის კარი. თავაზიანად მიმიღო, ხელი ჩამომართვა და სკამი შემომთავაზა. ჩემს წინ ტანმორჩილი, შავგვრემანი, სათნო სახის ახალგაზრდა იდგა და გულკეთილად მიღიმოდა. რა გაწუხებთო, — მკითხა. დავიწყე ლაპარაკი. შემატყო, რომ ვღელავდი, და დამამშვიდა: ნუ ღელავთ, წყნარად მიამბეთ, რა გიჭირთო. მე დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, თან დავუმატე: თუ სკოლაში არ ჩამრიცხეს, აქედან წამსვლელი არა ვარ-მეთქი. მან ისევ გაიღიმა და განმიმარტა: იცოდე, ეს სკოლა არ ჰგავს ჩვეულებრივ სკოლებს, აქ უფრო დიდი მოთხოვნები და მკაცრი დისციპლინაა, შეიძლება, პირველ ხანებში გაგიჭირდეს კიდეც, მაგრამ უნდა გაუძლო, დიდი სიმტკიცე და მონდომება უნდა გამოიჩინო, უამისოდ ნამდვილად წითელი მეთაური ვერც დადგებიო.

მერე მომთხოვა მანდატი და სამანდატო კომისიაში მიმიყვანა. „რა უშლის ხელს ამ ახალგაზრდას, რომ ჩვენთან კურსანტად ჩაირიცხოს?“ — იკითხა მან. „ჯერ თვრამეტი წლის არ არის, ოთხი თვე უკლიაო,“ — — უპასუხეს კომისარს. ბორისს გაეცინა. „მართალი ხართ, — უთხრა, — მაგრამ გამოსავალიც არის: სანამ ორთვიან კარანტინს გაივლის და საერთო ფიცის მიღებამდე პირ-

იგონებს სამხედრო სკოლის ყოფილი კურსანტი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, სამამულო ომის ვეტერანი

გიორგი სამადგეგაშვილი.

ველად მომზადებას დაამთავრებს, ბარე ხუთი თვეც გავა, უკვე თვრამეტი წლისა შესრულდება და იარაღის ტარების ნებართვაც ექნება, ასე რომ, გთხოვთ, ჩარიცხოთ".

ჩამრიცხეს. გახარებულმა აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბორის ძნელაძემ გამოუძახა იმავე სკოლის კურსანტს, პირველი ასეულის მამასახლისს აკაკი ოდიშარიას და უბრძანა: „ეს ყმაწვილი ჩარიცხულია კურსანტად, წაიყვანე, ჩააცვი ფორმის ტანსაცმელი და ისევ უკან მომიყვანეო".

ამ დროს ოთახში ვიღაც სამხედრო შემოვიდა. თურმე, ნუ იტყვით, სკოლის უფროსი გრიგოლია ყოფილა. მე საშუალო ტანის, გამხდარი და ფიზიკურად სუსტი ყმაწვილი ვიყავი. დამადო გრიგოლიამ თავზე ხელი და თავისკენ მიმატრიალა. „როგორც ვხედავ, — უთხრა რუსულად ძნელაძეს, — თქვენ ჩვენს სკოლას პატარა ბავშვებით აკომპლექტებთ. მაგათი ჩამრიცხველი არა ვარ, მე წარმოსადეგი, ჯანიანი, შავლეგა ბიჭები მჭირდებაო". „ეგ უკვე ჩარიცხულია, — მშვიდად მიუგო ბორისმა. — ამასთან, მუშათა კლასიდან გამოსული ახალგაზრდა და კომკავშირელი გახლავსო".

გრიგოლიას აღარაფერი უთქვამს. წამიყვანა ოდიშარიამ, ჩამაცვა სამხედრო ფორმა, დამახურა „ბუდიონოვკა" ზედ გამოსახული დიდი წითელი ვარსკვლავით და ისევ ბორის ძნელაძეს მიმგვარა. სკოლის კომისრის კაბინეტში ახლა უკვე სამხედრო წესის მიხედვით შევედი, ძნელაძეს მხედრული სალამი მივეცი და მოვახსენე: „თანახმად თქვენი ბრძანებისა, სამხედრო სკოლის პირველი ასეულის კურსანტი გიორგი სამადბეგაშვილი გამოვცხადდი-მეთქი". ბორისი იქვე მდგომ გრიგოლიას მიუბრუნდა და ჩემზე ღიმილით ანიშნა: „შეხედეთ, რა ბიჭი ყოფილა, რით არის დასაწუნიო". „მართალი ბრძანდებითო," — ცოტა არ იყოს, დარცხვენით მიუგო გრიგოლიამ. — „სამოქალაქო ომში მაგისთანა ახალგაზრდები, განსაკუთრებით მზვერავები, სასწაულებს ახდენდნენო".

ერთხელ, ზამთარში, ტაქტიკური მეცადინეობის დროს, გავცივდი. გამგზავნეს ჰოსპიტალში. ოცეულის უფროსს ჩემი საკითხი გამწმენდ კომისიაში დაეყენებინა: ფიზიკურად სუსტია და გავათავისუფლოთ სკოლიდანო. კომისიის სხდომას ბორის ძნელაძეც ესწრებოდა. მას უკითხავს, სამადბეგაშვილს ავადმყოფობის გარდა სხვა პრეტენზიას ხომ არ უყენებთო. არაო, უპასუხეს, მაშინ ბორისს ეთქვა, ავად შეიძლება ყოველი ჩვენთაგანი გახდეს, ამისათვის კი არ უნდა გარიცხოთ, უნდა დაეხმაროთ ამხანაგს, ხელი უნდა შეუწყოთ გაცდენილი დღეების აღდგენასა და სწავლაში ჩამორჩენის აღმოფხვრაშიო.

გავიდა წელიწადი, გარდაიცვალა ბორის ძნელაძე.

სკოლის კომისრად დაინიშნა სოსო ბუაჩიძე. კარგად მახსოვს მისი პირველი შემოსვლა აუდიტორიაში. მოგვესალმა და თავისი საუბარი ასე დაიწყო: „ამხანაგებო! მე თქვენი სამხედრო კომისარი ვარ, მაგრამ ალბათ, ისეთი ვერ ვიქნები, როგორიც იყო ბორისი. ის ბუნებრივად იყო დაჯილდოებული დიდი ნიჭით, ღრმად ჰქონდა შესწავლილი მარქსიზმ-ლენინიზმი, იყო უაღრესად განათლებული პიროვნება, შრომისმოყვარე, საქმისათვის თავდადებული, კარგი აღმზრდელი და დამხმარე ჩვენი ახალგაზრდობისა, ჰუმანური, მკაცრი, სამართლიანი და მტერთან დაუნდობელი".

ჩვენ გაყუჩებული ვუსმენდით.

ბოლოს თქვა: „მე ყოველნაირად ვეცდები, თქვენი დახმარებით ნაწილობრივ მაინც ვიყო ისეთი, როგორიც ჩვენი ბორისი იყოო." ამის შემდეგ მისი მოთხოვნით, წამოვდექით ბორისის ხსოვნის პატივსაცემად. სოსო ბუაჩიძემ მოგვიწოდა, ვყოფილიყავით ღირსნი, გვეტარებინა ბორის ძნელაძის სახელობის სკოლის კურსანტის საამაყო სახელი. ჩვენ ერთხმად შევძახეთ: „გაძლევთ სიტყვას, ვიქნებით წარჩინებული კურსანტები ბორის ძნელაძის პატივსაცემად."

ახლაც განცვიფრებით ვიგონებ ბორის ძნელაძის, ამ 24 წლის ჭაბუკის სიდარბაისლეს, დიდსულოვნებას, სიმტკიცეს, სიბრძნესა და განათლებას.

ბორის ძნელაძეს ჩვევად ჰქონდა გაჭირვებულის დახმარება, იგი ხშირად იყო ჩვენთან, როგორც ფილოსოფიის მეცადინეობაზე, ისე საგანგებო სწავლების დროს. იცნობდა თითქმის ყველა კურსანტს და ყოველნაირად ზრუნავდა მათზე. მისი ხელმძღვანელობით სკოლამ აღზარდა და გამოუშვა სამხედრო საქმის ასობით შესანიშნავი სპეციალისტი, მამაცი და განათლებული წითელი მეთაური, რომელთაგან ბევრმა დიდებული წვლილი შეიტანა დიდი სამამულო ომის ისტორიაში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მე-18 არმიის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე, გენერალ-მაიორები ილია რაზმაძე, გიორგი ყურაშვილი, ნიკოლოზ კალაძე, მიხეილ როსტომაშვილი, პორფილე აბრამიძე, ისიდორე სილაგაძე, პოლკოვნიკები და პოდპოლკოვნიკები ნ. ჯანელიძე, ლ. გოგატიშვილი, მ. ქინქლაძე, დ. მაჭარაძე ა. კუსრაშვილი, ე. ქანთარია, გ. ბურკაძე, შ. ჯაში, ლ. სისაური, ნ. ხაჩიძე, მ. ბუსკაძე და მრავალი სხვა.

ამათგან სამამულო ომის დროს ბევრი დაეცა გმირულად ბრძოლის ველზე. ბევრი კი, ვინც ცოცხალი გადარჩა, ისევ ემსახურება სამშობლოს. თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საბჭო, რომლის თავმჯდომარეცაა სამამულო ომში სახელმოხვეჭილი გენერალი ნ. კალაძე, აგრეთვე, ომის ვეტერანთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, დიდ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის მოსახლეობაში და საბჭოთა არმიას ღირსეულ შევსებას უმზადებენ, რითაც თავისი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობისა და ძლიერების განმტკიცებაში. ამ საშვილიშვილო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩაქსოვილია ჩვენი საყვარელი ადამიანის, საქართველოს პირველი კომკავშირელისა და სამხედრო სკოლის პირველი კომისრის, ბორის ძნელაძის შრომაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ გემაზაშვილი

მხატვარი ზურაბ ფოლრჩხიძე

მოთხრობა

„სტუდებეკერის“ ფირმის ახალთ-ახალი, მწვანე მანქანები კოლონად გამწკრივებულიყვნენ გზაზე. ტანკის მუხლუხოებივით მძიმე საბურავებს მოყვითალო მიწა მტვრად ექციათ. ყვითელი მტვერი ედო ირგვლივ ყველაფერს — გზისპირა ბალახს, თხელ ბუჩქნარს. კოლონის გასწვრივ ჯარისკაცები დაფუსფუსებდნენ. სწრაფად ალაგებდნენ მანქანებზე ჭურვების ყუთებს. ფრონტის მოწინავე ხაზის ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა სასწრაფოდ ყუმბარებს ითხოვდა. ფრონტის შტაბისა და სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, მტერი დიდ სატანკო შეტევას ამზადებდა. ხოლო ამ ადგილას ფრონტის გარღვევა სტრატეგიულ გზას უხსნიდა გუდერიანის ცნობილ სატანკო დივიზიებს.

სადღაც ყრუდ გრუხუნებდა ქვემეხი, კანტიკუნტად ისმოდა მისი ბათქის ხმა. სწრაფად და უხმოდ მუშაობდნენ გახვითქული ჯარისკაცები. მტვერი ბოლავდა მათ ფეხქვეშ...

თაკარა მზისგან ფრთებგაფიცხებული ჭრიჭინები გულისგამაწყალებლად ჭრიჭინებდნენ. ქვემეხის ბათქზე თუ მიყუჩდებოდნენ წუთით. ყუმბარების გადასაზიდად ნაწილში გამოცდილი შოფრების კოლონა იყო გამოძახებული, ჭურვები ჩქარა და რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით უნდა მიეტანათ მოწინავე ხაზზე. მტრის მზვერავი თვითმფრინავები ფხიზლად დარაჯობდნენ ფრონტის ყოველ მისასვლელს. თან ცდილობდნენ, შენიღბული ტანკსაწინააღმდეგო ბატარეა აღმოეჩინათ.

მანქანის ძარაზე შემდგარი მძღოლები ჯარისკაცებს უთითებდნენ, სად და როგორ დაელაგებინათ მწვანე ყუთები. რაც არ მოსწონდათ, თვითონ ასწორებდნენ. მტვრიან ხალათებზე, ბეჭებშუა ფართე ზოლად აჩნდათ ოფლის მუქი ლაქები, რომელთაც შემშრალი მარილის თეთრი არშია გასდევდათ გვერდებზე.

ბეჟანმა თვალმოუტეხელმა გახედა ავტო-კოლონას, მერე პილოტურით შარვალ-ხალათის ჩამობერტყვას შეუდგა.

— ვანო! — გასძახა მეორე მანქანასთან მოფუსფუსე ქერათმიან მძღოლს.

ქერათმიანმა ცერად გამოხედა ბეჟანს და ზანტი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ.

— რამდენ ხანში მოვრჩებით?

— თხუთმეტ წუთში.

იგი მანქანის ჩრდილში დაჯდა და ზურგით მის საბურავს მიეყრდნო.

— ეს კი ჭამეს ფრიცებმა... — გაიღიმა ვანომ და ბეჟანს ახედა.

— რა?

— ჰგონიათ, ასეთი ოპერაცია მაინცდამაინც ღამით უნდა ჩატარდეს, ჩვენ კი დღისით, მზისით...

— ჰო, ჭამეს.

— ჯერჯერობით ჭკვიანად არიან.

— შენ მერე ნახე, იმათი მზვერავი დაუკრეფავში გადასულებს რომ დაგვინახავს, კრაზანებივით აიშლებიან.

— აი, დარდი! გვიყარონ კაკალი.

— ეჰ, ვანო, კაკლის ჩამოყრა არ იციან ცუდად...

— ეგეც გვინახავს მე და შენ, — გაუღიმა ვანომ მეგობარს.

— პოლკის მეთაურმა გვიბრძანა, ორმეტი საათისთვის მზად უნდა იყოთო... აბა, გვეყოფა მუსაიფი. მოვრჩეთ!

ბიჭები დატვირთვას მორჩნენ და ახლა ზოგი ძარას მომტვრეულ არყის ხის ტოტებს აყრიდა. დანარჩენები ტანსაცმლის ბერტყვით ბეჟანისკენ მოემართებოდნენ.

ბეჟანმა თვალი მოავლო მათ. ჯარისკაცებს ბევრი ლაპარაკი არ უყვართ. ყველამ შესანიშნავად იცოდა თავისი საქმე, თუ გაჭირდებოდა, ცეცხლში გადაცვივდებოდნენ.

— სულ ოცდაათი კილომეტრია, ჰა, ბიჭებო? — მხოლოდ ესა თქვა...

— ოცდაათია და ოცდაათი იყოს!

ბეჟანი შემობრუნდა და მანქანისკენ გადადგა ნაბიჯი. მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, ისევ შემობრუნდა და დაბალ, ჩასკვნილ ჯარისკაცზე შეაჩერა თვალი.

— გენკა, ცხელ-ცხელი მივართვათ, არა?

— ჰო, — მხარი აუბა იმანაც. — არ განელდეს, თორემ ის გემო აღარ ექნება!

ვანომ პილოტურა შუბლზე ჩამოიფხატა, კეფა მოიფხანა და წარბებქვემოდან ცუღლუტად ახედა ბეჟანს.

— ცხელსაც მივართმევთ და ყოფასაც ვუტირებთ!

მერე ბეჟანმა დასჭექა:

— მანქანებზე!

ჯარისკაცები სირბილით დაიფანტნენ. ყველამ თავის მანქანას მიაშურა. ბეჟანი კოლონის მეწინავე მანქანაში ავიდა, საჭეს მიუჯდა, მეორე მხრიდან ვანო ამოხტა კაბინაში. ბეჟანი ცოტა ხანს შეყოვნდა, შემდეგ მანქანის საფეხურზე დადგა, კოლონას გახედა და როცა დარწმუნდა, რომ ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, ომახიანად გასძახა თანამებრძოლებს:

— დაქოქეთ!

ბრძანებაზე მოტორები აგუგუნდნენ და ავტოკოლონა დაიძრა. ყვითელი მტვერი ბუღივით ავარდა მანქანის ბორბლებიდან და მომყოლი მანქანები დაფარა. მხოლოდ ბეჟანს არ უშლიდა მტვრის კორიანტელი. იგი დაკვირვებით იცქირებოდა წინ და თანდათან სვლას უმატებდა.

— ცოტა კიდევ მოუმატე, სანამ გზა ამის საშუალებას იძლევა! — ყურში ჩასძახა ვანომ.

— ამაზე გაწყენინებ? — ღიმილით გადახედა ამხანაგს და გაზის სატერფულს დააწვა. ახალი მანქანა რბილად მიუყვებოდა გატკეპნილ გზას. თხელი ბუჩქნარი მალე მოთავდა და გაშლილი მინდორი დაიწყო. აქა-იქ ყუმბარისაგან დათხრილი ორმოები გამოჩნდა. ვერა და ვერ მიეჩვია ბეჟანი უსიამოვნოდ პირდაღებულ ორმოებს. რა კარგია ნერგისათვის ამოთხრილი, კოხტად პირმოსწორებული ორმო და რა საზარლად გამოიყურე-

ბა ყუმბარისაგან აჩიჩქნილი მიწა, „ვის უნდა დაფლეთილი მიწა და უმიზნოდ დაღვრილი სისხლი? კაცმა კაცი არ უნდა მოკლას, არა აქვს ამის უფლება...“

მანქანამ წინა ბორბალი ორმოს ჩაჰკრა და ფიქრი გააწყვეტინა ბეჟანს. ფრთხილად აუარა გვერდი ვეებერთელა ლოდს და ისევ ააყოლა ფიქრი მოტორის გუგუნს.

...თვითონ სოფელში ქათამიც ვერ დაეკლა. დედა ვითომ არცხვენდა, ღიმილით ეტყოდა ხოლმე: „შვილო, მაშ ამხელა ბიჭმა წიწილა ვერ უნდა დაკლაო?“, — მაგრამ გულის სიღრმეში ვგონებ, სიამოვნებდა კიდეც... ერთხელ მეზობლის გოგო მაიკო შემოესწროთ, წიწილას წაეტანა, — „მოიტა, ნინო ძალო, მაგას თუ არ შეუძლია, მე დავკლავო“. მაგრამ ბეჟანმა დაასწრო, ვარიკას ხელი სტაცა, კუნძზე დაუდო კისერი და არც დაუხედავს, ისე დაჰკრა წალდი. შიგ ძირში წააჭრა თავი. ისე შეზარა ამ ამბავმა, რომ სულ გადაფითრდა. მაიკომ სიცილი დააყარა. იმ წიწილასთვის პირი არ დაუკარებია... მაშინ იყო, რომ მაიკოს უკმეხად შეუტია... გოგო მთელი კვირა ებუტებოდა...

— ვანო, ქათამი თუ დაგიკლავს?

ვანომ გაკვირვებით გადმოხედა ამხანაგს:

— რა, ტაბაკა მოგინდა?

— არა, მართლა თუ დაგიკლავს?

— ერთხელ, ძალიან რომ გამიჭირდა, ზარბაზანი ვესროლე,—გაიღრიჭა ვანო, შემდეგ კი უფრო გულღიად დააყოლა: — მართალი გითხრა, დიდად არ მეხალისებოდა... ამ საქმეს ქალებიც მშვენივრად აკეთებდნენ...

ბეჟანმა ოდნავ უკლო სიჩქარეს. ახლა გზაზედაც ხვდებოდა ყუმბარისაგან დათხრილი ორმოები.

— უფრო ნელა, ბეჟან, აგერ, იქ სულ გადათხრილია. — გააფრთხილა ვანომ.

ბეჟანმა დაამუხრუჭა, ფრთხილად ჩაუშვა მანქანის წინა ბორბალი ორმოში და ასევე ფრთხილად ამოიყვანა მიწაყრილზე.

— ასე თუ გაგრძელდა, ერთ საათში ვერ მივალთ, — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ვანო.

ბეჟანმა უკანა ფანჯრიდან გახედა კოლონას. მანქანები დინჯად მოყვებოდნენ მის კვალს. ახლა ზენა ქარი უბერავდა და მტვერი გვერდზე გაჰქონდა.

— უნდა მივიდეთ.

— თხუთმეტი მილის სისწრაფით მივდივართ, — დახედა ვანომ სპიდომეტრის ისარს. — ერთ მილში რამდენი მეტრია?

— სახმელეთოში ათას ექვსასი, საზღვაოში კი ათას რვაასი..

— მაშ ახლა ოცდაოთხი კილომეტრის სიჩქარით მივიზლაზნებით? ესეც შენი „სტუდებეკერი“!

ივანე ცოტა ხანს გაჩუმებული იჯდა, შემდეგ ისევ სპიდომეტრს გადახედა.

— შენ როგორა გგონია, ბეჟან, წავა ეს 110 მილის სისწრაფით საათში? როგორც აქა სწერია...

— მე მგონი, წავა...

— 176 კილომეტრით საათში?! დაგენიძლავები რომ ვერა!

— მოიტა ხელი!

— რაზე იყოს?

— ჩემი — გერმანული ფარანი, შენი — ამერიკული სანთებელა.

— მოდის!

უცებ ვანომ ყურები ცქვიტა, — მანქანის მოტორის გუგუნს შორიელი, ნაცნობი ზუზუნი ეერია. ცოტაც და მზვერავი თვითმფრინავი გაავებული ღრიალით თავს გადაევლო კოლონას და ტყვიამფრქვევიც ააკაკანა.

— ეტყობა, ყუმბარები არა აქვს... კაკლებით გვიმასპინძლდება. — ვანომ კარი გააღო და გარეთ გადაეკიდა. — იქით რაღაც ამბავია. ალბათ, ვინმეს მოარტყა წყეულმა... შენ არ გაჩერდე, მე ჩავხტები და გავიგებ...

— არა, უნდა გაჩერდნენ, ოღონდ მოტორები არ გამორთონ, იმას ბომბები არა აქვს, არც ტყვიამფრქვევის ვაზნები ეყოფა...

კოლონა შეჩერდა. ბეჟანი ჩამოხტა, მეორე მანქანიდან გენკაც აპირებდა ჩამოხტომას, მაგრამ ხელით ანიშნა, ადგილზე დარჩენილიყო. მეათე მანქანასთან შეიტყო ამბავი.

— ამხანაგო მეთაურო, კუზმას მანქანას საბურავი დაუცხრილა ირიბად ნასროლმა ტყვიამ, — მოახსენა მეთვალთვალემ.

კუზმა იაკოვენკო და მისი მეწყვილე ბაქოელი სულეიმან დადაშევი უხმოდ უტრიალებდნენ გარშემო ჩაჩუტულ საბურავს. ბეჟანი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა მათ.

— მაგის გამოცვლის დრო არ არის. დაშვებული საბურავით წამოხვალთ. თუ ვერ ივლით, დატოვებთ და როგოვის მანქანაზე გადახვალთ. აბა, წავედით!

მზვერავი მობრუნდა. გაბოროტებული ღმუილი სწრაფად ახლოვდებოდა. ბეჟანმა თავის მანქანასთან მირბინა, როცა კარგად ნაცნობი წივილი მოესმა. გამახვილებული სმენით მიხვდა, რომ ყუმბარა მისი მანქანის წინ უნდა დაცემულიყო. — ვანო,



დაწექი! — დაუყვირა კაბინაში ასახტომად გამზადებულ მეწყვილეს და მანქანის ქვეშ შერგო თავი. ყუმბარა წივილით ჩაერჭო მიწაში... გამაყრუებელი აფეთქების მოლოდინში სიჩუმე უფრო მძაფრად შესაგრძნობი გახდა.

ყუმბარა არ აფეთქდა. ბეჟანმა ცალი თვალი გააპარა იქით, — მიწაში ირიბად ჩარჭობილიყო ცარიელი, ნესვივით წაგრძელებული ბენზინის კანისტრა.

— ფუჰ, შენი რჯული არ იყოს!— კბილებში გამოსცრა ბეჟანმა, თითქოს ნათქვამს ასე დამამდაბლებელი შიშის გრძნობა ამოაყოლაო. ფეხზე წამოდგა. ვანო სახემოღუშული შესცქეროდა ალუმინის კანისტრას.

მანქანაზე ავიდა.

— ეს რაღაა, ვანო?

— ბანბანერკა! — გაუღიმა მეწყვილემ.

მზვერავმა თვითმფრინავმა ირაო შეჰკრა და თვალს მიეფარა.

— წავიდა. თავისიანებს უნდა ახაროს, მაყრები მოდიანო...

— კი, ძალიან გაახარებს...

— სანამ ისინი აქ დაბრუნდებიან, ჩვენი კვალიც აღარ იქნება. გვიყარონ მერე ტორტები და ბანბანერკები.

ვანომ მათარა ამოიღო და წყალი მოსვა.

— ხომ არ შეგცვალო?

— არა, ცოტა დაისვენე, წუხელის თვალი არ მოგიხუჭავს.

— შენ ხომ ღუმელზე ფუმფულა ტყავებში ნებივრობდი...

წინ არყის ხეების მწვანე ზოლი გამოჩნდა. მინდორი ახლა სქელი, გაუთიბავი ბალახით იყო დაფარული. ყუმბარით დათხრილმა ორმოებმა იკლო. გზა მარჯვნივ უხვევდა, მაგრამ ავტოკოლონა, მარშრუტის თანახმად, პირდაპირ მინდვრის გავლით უნდა წასულიყო ტყისაკენ. ბატარეა ტყის პირას იყო განლაგებული და ძალიან კარგად შენიღბული. ბეჟანმა მოხერხებულად, ცერად გადაიყვანა მანქანა გზისპირა თხრილზე და სვლის შეუნელებლად შეამოწმა რუკაზე წითელი პუნქტირით აღნიშნული გაუკვალავი გზის სისწორე. აქ სულ აღარ ჩანდა დაბომბვის კვალი. რაღაც სასწაულით გადარჩენილი ერთი-ორი თოთქმის ჩამომპალი თივის ზვინი მოჩანდა შავად. ბეჟანმა კიდევ ცოტა ხანს ატარა მანქანა, ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მის წინ გადაშლილი მინდვრისათვის და უცებ დაამუხრუჭა. კარი გააღო და უსიტყვოდ ჩავიდა. ვანოც უკან გაჰყვა.

— ამის შიში მქონდა. დანაღმულია...

ნაჩქარევად წაყრილი მიწა და ბალახბულახი გამოცდილ თვალს ვერ უმალავდნენ ტყის პირის მისადგომებთან უხვად გაბნეულ ნაღმებს.

— ტანკსაწინააღმდეგოა. არც დაუშურებიათ, კარგა ბლომად არის. — წაიბურტყუნა ვანომ. — შემოვლას ვერ მოვასწრებთ. არადა, მენაღმეების ნაწილს რომ გამოვუძახოთ მზვერავი ასჯერ დაგვასწრებს...

— ვანო, რამდენ წამში ფეთქდება ეს ნაღმი? — ჰკითხა ბეჟანმა.

მეწყვილემ მანქანის წინ ჩაიმუხლა და დანაღმულ მინდორზე ერთხელ კიდევ მოატარა თვალი.

— სამი-ოთხი წამი, მოკლედ, სანამ ტანკი ზედ არ შეაფოფხდება, მანამდე არ აფეთქდება. ბეჟანს თვალნათლივ წარმოუდგა, რა ჯიუტად მოღოღავენ „ვეფხვები“ და „ლეოპარდები“ აღმართზე. აქეთ კი სანგრებში, დადუმებულ ტანკსაწინააღმდეგო ბატარეებთან უილაჯო სიშმაგისაგან ტუჩებს იკვნეტენ ჩვენი მებრძოლები... გალაღებული მტერი კი წინ მოიწევს და გადათქერვით ემუქრება უტყვიაწამლოდ დარჩენილებს. ასობით ვაჟკაცის სისხლი ფუჭად უნდა დაიღვაროს. ჯავრნაჭამნი უნდა ამოსწყდნენ, ასეა, ძალა აღმართსა ხნავს! ის ბიჭები კი, ყუმბარებს რომ ელიან, ვითომც ჩვენ დაგვიხოცავს. ახლაც გზისკენ აწყდებათ თვალები. ბეჟანმა კარგად იცის, რა ცეცხლიც გიზგიზებს მათ გულში. არა, აქ ასჯერ გასაზომი არაფერია, — გადასაჭრელი უნდა გადაიჭრას! ყუმბარები უნდა მიიტანონ, თანამებრძოლებს მხარში ამოუდგნენ, ეს ვალია, წმინდათა-წმინდა ვალი.

— მაშ სამი-ოთხი წამი? — ფიქრნარევი ხმით გაიმეორა ბეჟანმა.

— ჰო, — კიდევ დაუდასტურა ვანომ.

ბიჭები ნელ-ნელა გროვდებოდნენ. ბეჟანი ერთხანს ჩუმად იდგა, მერე უცებ მიუბრუნდათ:

— გადმოტვირთეთ ჩემი მანქანა.

ჯარისკაცებმა გაოცებით შეხედეს მეთაურს, ვანომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბეჟანმა დაასწრო:

— ნაღმი ტანკსაწინააღმდეგოა, შენელებული მოქმედებისა, ამ მანქანამ 90 მილიც რომ განავითაროს, ნაღმი ვერ მოასწრებს მის ქვეშ აფეთქებას... ხოლო თუ ერთხელ გავიარეთ, გასასვლელი გაკეთდება!

— კი, მაგრამ, — ყოყმანით დაიწყო ისევ ვანომ.

— აბა, დავიწყოთ! — გააწყვეტინა მას ბეჟანმა. — ყუთები მანქანებზე გაინაწილეთ...

მძღოლებმა იცოდნენ თავიანთი მეთაურის ამბავი, ვეღარ გადაათქმევინებდნენ განზრახულს, ამიტომ სწრაფად და უხალისოდ დაიწყეს მანქანის გადმოტვირთვა.

ბეჟანი უსიტყვოდ მისჩერებოდა დანაღმულ მინდორს. თვალით ეძებდა მეჩხერად დანაღმულ გასასვლელს. ნერვიულად იწიწკნიდა ახლად აბიბინებულ ულვაშს. როგორც გამოითვალა, ისე თუ მოხდა, თხუთმეტ წამში უნდა მოთავებულიყო ყველაფერი. თხუთმეტი წამი ახლა მთელ მომავალ ცხოვრებად ესახებოდა. მინდვრის ბოლოში ყვავებმა გადაიფრინეს. საზარელი ჩხავილით დახუნძლეს ტყის პირას მდგარი არყის ხეები. მათ ყრანტალს მიჰყვა მკაწრავი ფიქრი... უცებ გაახსენდა ქერა გერმანელი ბიჭი. მას გაცილებით სრული ფორმა ეცვა, ვიდრე სჭირდებოდა. პირველი მიუახლოვდა მათი სანგრების წინ გაბმულ მავთულხლართებს. ბეჟანი დიდხანს უმიზნებდა შაშხანას, სანამ იგი გრძელტარიანი მაკრატლით ეკლიან მავთულს ჭრიდა... შემდეგ თითი გამოკრა სასხლეტს. გერმანელი თითქოს მთელი ტანით შეხტა და მავთულზე ჩამოეკიდა. მერე მეორე გამოძვრა. ისიც ქერა იყო. იმას ვანომ ესროლა. ისე ახლოს იყო, რომ ბეჟანს მოეჩვენა, თითქოს გაკვირვებული სახით გამოიხედა, მერე ნელ-ნელა მოეშვა და მიწაში ჩარგო თავი, ჩაფხუტი გვერდზე მოექცა და გადაუვარდა...

ვიღაცამ მხარზე შეახო ხელი. ვანო იყო.

— მოვრჩით, ბეჟან...

ბეჟანი მძიმე ნაბიჯით წავიდა მანქანისაკენ. კარი გამოაღო, საფეხურზე დადგა და დაცარიელებულ ძარაში ჩაიხედა. საჭეს მიუჯდა და მოტორი ჩართო. არ ჩქარობდა, მძიმედ, ღონივრად დააწვა აქსელერატორს. მანქანამ დაჭრილი ხარივით დაიღმუვლა. ვანო რაღაცას უყვიროდა, მაგრამ ბეჟანის ყურამდე ვერ აღწევდა მისი ხმა. მან ნელა დაძრა მანქანა და უკუსვლით ოცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდე მეტრი დაახევინა. იგი ახლა ისე იდგა, როგორც თვითმფრინავი სტარტის წინ ბეჟანი აღარაფერზე არ ფიქრობდა. ჩვეული მოძრაობით ერთხელ კიდევ მოსინჯა ფეხით აქსელერატორი და მანქანა დაძრა.

პირველი ნაღმები ღმუილით აიჭრენ ჰაერში. მანქანა შექანდა. ნაღმის ნამსხვრევებმა ლაწალუწით აამტვრია ძარას ფიცრები. კანონადასავით მიჰყვა ერთმანეთს მძიმე ნაღმების ბათქაბუთქი. კაბინის შუშები ზრიალით ჩამოილეწა. ნავივით დაირწა მანქანა აქეთ-იქით. ხან თითქოს ორ ბორბალზე მიჰქროდა, ხან ლამის ცხვირით წარჭობილიყო მიწაში...



ბეჟანმა მწვავე ტკივილი იგრძნო მარცხენა ლოყაზე, თითქოს ვიღაცამ გამეტებით, ღონივრად შემოჰკრა სილა, შემდეგ მხრის თავი აეწვა. მკერდით მაღლა მიეხალა საჭეს. მარცხენა ხელი ჯერ მოუდუნდა და მერე სულ ჩამოუვარდა... ახლა მხოლოდ მარჯვენა ხელშიღა გრძნობდა ძალას... მინდორი აღარ მთავრდებოდა, არადა, აი, აქ, ამ ბუჩქნართან უნდა დამთავრებულიყო. უცებ კეფაშიც მძიმე დარტყმა იგრძნო, თვალებში ყვითელი ლაქები აერია.. ყრუდ ჩაესმა ნაღმის გამაყრუებელი აფეთქების ხმა... იგი მანქანის უკან კი არა, სადღაც გვერდით გასცდა. მანქანა გვერდზე გადაწვა და გადატრიალდა...

მინდორი მოთავდა. საშინელი გრიალის შემდეგ ირგვლივ საოცარი მდუმარება ჩამოწვა. ბეჟანი ნელ-ნელა გონს მოეგო. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მარჯვენა ხელის თითებით ისე ჩაფრენოდა საჭის შავ რგოლს, რომ სახსრები სტკიოდა, თავი უბრუოდა, ბლანტი სითხე თბილად ჩასდიოდა საყელოში. მერე ბუნდოვნად შემოესმა რაღაც ხმები, ჩოჩქოლი, ღონიერმა ხელებმა ჩამტვრეული ფანჯრიდან გარეთ გაათრიეს. ბეჟანმა თვალები გაახილა, თავს ვანო და გენკა ადგნენ. ვიღაცამ ჭათარით წყალი დაალევინა. ბეჟანს თანდათან გადაეწმინდა გონება, კეფაში და ლავიწის ძვალთან ისე მძაფრად აღარ გრძნობდა ტკივილს. ირგვლივ ბიჭებს შეეკრათ წრე, ვანოს მასთან ჩაეშუხლა და სახეში შესცქეროდა.

— არაფერია, ბეჟან... არაფერი...

გაურკვევლად ბურდღუნებდა იგი.

ბეჟანმა ჯარისკაცებს მოავლო თვალი და გაიღიმა.

— მორჩა მინდორი?.. ამოილაპარაკა მან.

— მორჩა... ყველაფერი მორჩა, — მაშინვე უპასუხა ვანომ. თვალზე ცრემლი უბრწყინავდა. ახლა თვითონ მოსვა მათარიდან წყალი.

— ვანო, ნიძლავი წააგე... — ნაძალადევი ღიმილით დაიჩურჩულა ბეჟანმა.

— რაო?! ჰოო... ნიძლავი?.. ოთხმოცდაათი იყო?

— 100!..

•

რამდენიმე ხნის შემდეგ დივიზიის გაზეთში ასეთი ცნობა გამოქვეყნდა:

„...საბრძოლო ამოცანის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს

ლაჯანაკოზს ივანე შიოშვილი

გულგასახარად მოჩითულა ზემო ხოდაშენი...

სოფლური გაზაფხულის ჰარმონიას აგვირგვინებს ბექობიდან გადმომზირალი რევოლუციური დიდების ადგილი, თავისუფლებისათვის მებრძოლთა არალეგალური საკრებულო და თავშესაფარი მეოცე საუკუნის ოციან წლებში — ულამაზესი „ქოჩორა მუხა“...

დღეს მის წარაფებს წითელყელსახვევიანთა ჩქამი ახალისებს — ხოდაშნელი ნორჩები მორიგ შეხვედრას უმართავენ მათი საშუალო სკოლის ნაცად შეფსა და გულითად მეგობარს, ამ ისტორიული ადგილის ნათელმდებელს, რევოლუციის პირველ ჯარისკაცს ხოდაშნიდან, ვეტერან კომკავშირელს **ივანე შიოშვილს.** მათს წინაშე, უკვე მერამდენედ, სიტყვით გამოვა საბჭოეთზე გადავლილი ყველა ქარიშხლისა და გამარჯვების უშუალო მონაწილე, ღვაწლმოსილი ადამიანი...

ბავშვების თვალწინ გაცოცხლდება რევოლუციამდელი გაღატაკებული და დარბეული კახეთის უღიმღამო სურათები, მენშევიკური მთავრობის უყაჩაღობანი, მათი კუდამოძუებული გაქცევა საზღვარგარეთ, რევოლუცია, წითელი არმიის მოდერნიზაცია, რეორგანიზაციის, ქვეყნის დანგრეული მეურნეობის აღდგენისა და კოლექტივიზაციის პროცესი, კულაკებთან ბრძოლა... დიდი სამამულო...

ბრძოლებში ნაცადი კომკავშირელი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სტალინგრადის დაცვაში; მალე ივანე შიოშვილს 35-ე საარტილერიო პოლკის უფროსის მოადგილედ ნიშნავენ. მისი შენაერთი მონაწილეობს კარელია-ფინეთის უბანზე ჩვენი ჯარების ყველა გარღვევაში. მერე კი აღმოსავლეთ პრუსიის ცეცხლოვანი ბატალიები, უკრაინის ფრონტთან შეერთება და ნანატრი ფინიში ბერლინში. მტრის კაპიტულაცია...

უკან დარჩა ათასი უძილო ღამე, მირიადი განსაცდელი. გამარჯვების სალუტმა ახალი მგზნებარებით აღავსო ჯარისკაცები. საქმე არ ილეოდა. ივანე შიოშვილს აღებულ ქალაქებში კომენდანტად ნიშნავენ... სამუშაო მეტად რთული და საპასუხისმგებლო იყოო — იგონებს ახლა იგი.

1946 წელს ცხრა სამხედრო ჯილდოთი მკერდდამშვენებული დაბრუნდა ივანე სამშობლოში... დაბრუნდა და მშვიდობიან შრომას შეუდგა.

რომ ჰკითხოს ვინმემ — ყველაზე დიდი სიხარული ახლა რას მოაქვს თქვენთვისო, იგი დაუფიქრებლად უპასუხებს: მშობლიური სოფლის — ზემო ხოდაშენის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან საშეფო მეგობრობასა და საზეიმო შეხვედრებსაო...

„ქოჩორა მუხა“...

იგი კვლავ იმ ძველი სახელოვანი ტრადიციებისა და გამოცდილებათა გაზიარების კერად ქცეულა. სწორედ ივანე და მისი თანამებრძოლები იყვნენ მისი პირველი რევოლუციონერი-ნათლიები... 1917 წლამდე ეს მიდამოები ხომ უბრალო შემოგარენი იყო და მეტი არაფერი...

დღეს კი აქ წარსული და თანამედროვეობა ერთად მოსულა — ხოდაშნის წარაფიდან თითქოს სამომავლო ლაშქრობათა პატაკს აბარებენ მშობლიურ ხალხსა და მამულს სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლები — რევოლუციის ჯარისკაცები და მათი ღირსეული ცვლა — ნორჩი ლენინელები...

მ. სვანი

გამოჩენილი გმირობისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ მექანიზებული ნაწილის ავტოკოლონის ოცეულის მეთაურს ლეიტენანტ ბეჟან ალექსის ძე ახვლედიანს“.

●

ჯარისკაცები საველე სამზარეულოს შემოხვეოდნენ და მხიარულად ყაყანებდნენ, მწვანე ქვაბურებსა და ალუმინის კოვზებს აკაკუნებდნენ.

— აბა, კერძი არ გამიციოთ! ყველანი აქა ხართ? ხომ იცით, სპეციალური სადილია! — გადმოსძახოდა ორთვალა სამზარეულოზე შემდგარი, დარდიმანდულად თეთრჩაჩმოგდებული მზარეული. — ვინმე ხომ არ გაკლიათ?

— ყველანი აქა ვართ, ძველო, დაასხი სპეცშეკვეთა! — ხმაურობდნენ ბიჭები.

ბეჟანი ჯარისკაცებს მიუახლოვდა, მიესალმა და რიგში ჩადგა.

— მოიტათ მათარა, ამხანაგო ლეიტენანტო, ეს გაუმაძღრები უკვე მეორედ დგანან რიგში...

ბეჟანმა ქვაბურა გაუწოდა მზარეულს, ვანომ მას თვალით ანიშნა რაღაც, შემდეგ, ვითომც აქ არაფერიაო, გვერდზე გაიხედა.

— ეს არის?! ცნობისმოყვარეობა ვერ დაფარა ახალგაზრდა მზარეულმა, დაკვირვებით შეათვალიერა ბეჟანი და კარდალა პირთამდე გაავსო.

ჯარისკაცები თავ-თავისი მანქანების ჩრდილში ისხდნენ და გემრიელად ილუკმებოდნენ. ბეჟანი ვანოს მიუჯდა გვერდით.

— რაო, რა გითხრეს პოლიტნაწილში?

— რა ვიცი... დაჭრილი ხარ, ერთი თვე უნდა დაისვენოო... — უპასუხა ბეჟანმა. — აბა, ეს ნაკაწრები ჭრილობაა?!

ვანომ მის მსუბუქად დაბინტულ თავს შეხედა.

— ერთი თვით შინ ჩასვლა მაინც კარგია.

— ან რა იყო იქ ისეთი?.. შენ არ გააკეთებდი?

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ვანომ მოჩერებულ ბიჭებს მოავლო თვალი, მხრები აიჩეჩა და ჩაიბურტყუნა:

— თუ გავაკეთებდი, იქ არ ვიყავი? გმირობა თავისით არ მოდის, ბეჟან...

სადღაც ყრუდ დაიქუხა ქვემეხმა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში უფრო ხალისიანად აკაკუნებდნენ კოვზები ჯარისკაცების მწვანე, სალაშქრო კარდალებში.



კოეტი-ჯარისკაცი მირზა გელოვანი
ქანდაკება გ. ზხვაცაგაიასი

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე გზაა შორი,
უფრო შორი — გზა ბრძოლის და მწუხარების.
გახსოვს ღამე? — გავუძვერით ნაღმებს ორნი
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთეთ ყუმბარები.

გახსოვს დნეპრი? — მღვრიე, როგორც
გათენება.
დნეპრზე მღვრიე — შემოდგომის მღვრიე ქარი.
დაჩეხილებს თბილისის ცა გვამთელებდა,
ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი.

მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,
ვეტყვი მხოლოდ, ომში გული არა კვდება,
ვეტყვი, რომ შენ წაიქეცი, როგორც მუხა,
როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება.

გული დარჩა, და როდესაც ხელჩართული
დნეპრს გადაღმა ჩადგა ომის მქუხარება,
მე ვიგრძენი საგულეში შენი გული
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთე ყუმბარები.

მირზა გელოვანი

გაუკარჯვებლად გზებით

ვინ უნდა იყოს ლაგოდეხის რაიონში ისეთი, **ტასიკო ბეგიაშვილს** რომ არ იცნობდეს. მეგობართა წრეში ქალბატონ ტასიკოს ნახევრად ხუმრობით „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულსაც“ ეძახიან.

წელს სამოცი წელი შეუსრულდა ჩინებულ მამულიშვილს, ვეტერან კომკავშირელს, პედაგოგიური ფრონტის ღირსეულ წარმომადგენელს...

ყველაფერი სკოლაში მიღებული ხუთიანებით დაიწყო... დაიწყო 1930 წლის პირველი მაისის დემონსტრაციაზე პიონერთა რიგებში ჩაწერით (იმჟამად პიონერთა რიგებში მიღების ასეთი ფორმა არსებობდა). 1936 წელს ტასიკო ბეგიაშვილი კომკავშირელი ხდება და უფროსები პირველ დიდ ნდობასაც უცხადებენ — ლაგოდეხის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელად ნიშნავენ...

— 1938 წელს უფროსი პიონერხელმძღვანელის შტატი პირველად იქნა დაშვებული ჩვენს სკოლებში — განმარტავს ტასიკო ბეგიაშვილი. — მახსოვს, ჩემთვის გულში უჩუმრად ამოვიჭერი — რახან ბედმა ამ საქმეში პირველობა მარგუნა, მეც არ უნდა ვუმტყუნო, ენთუზიაზმითა და სიახლეთა დამკვიდრებით უნდა ვუპასუხომეთქი!

არც არასოდეს უღალატნია ტასიკოს ამ აღთქმისათვის...

— რაიმე სიახლის პირის ართმევა ყოველთვის ჭირს ხოლმე, ჩვენც ამ დღეში ვიყავით — არც მეთოდური ლიტერატურა მოგვეპოვებოდა და არც სხვა რამ საშუალება, რომ საქმისათვის უკეთ გაგვერთმია თავი და ჩვენი მოვალეობის ანაბანაში უკეთ გავრკვეულიყავით... ბედად, ჩვენი რაიონის მკვიდრი, იმჟამად თბილისის რკინიგზის საშუალო სკოლის კომკავშირის მდივანი ვალიკო პეტრიაშვილი გამახსენდა. დავიწყე მასთან კონსულტა-

უფროსი ქმის კვალდაკვალ



ივანე დიდმანიძე

ციებზე სიარული. „პიონერსკაია პრავდა“ და „ახალგაზრდა კომუნისტიც“ მოვიშველიე და საქმე ადგილიდან დაიძრა.

...ომის პერიოდში — ზურგის ქმედითუნარიანობა დიდად იყო დამოკიდებული ჩვენს საგიტაციო მუშაობაზე, — იგონებს ახლა ტასიკო, — ლაგოდეხის რაიონის

თაობათა ესტაფეტა გრძელდება. ტ. ბეგიაშვილი თავის ქალიშვილს გადასცემს კომკავშირის სამკერდე ნიშანს.

ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა დიდი ჯაფა გასწიეს სურსათ-სანოვაგით ფრონტის უზრუნველსაყოფად, ხოლო ომის მიწურულს მთელი ვაგონი ტანსაცმელი გავუგზავნეთ ჰიტლერელთა ოკუპაციის შედეგად განსაკუთრებით დაზარალებული რაიონების მცხოვრებლებს...

იმ წლებში კომკავშირის რაიკომი სამი საშტატო ერთეულით განისაზღვრებოდა, ჩვენც საზოგადოებრივ საწყისებზე, შეთავსებით გვიხდებოდა რაიკომის განყოფილებების ხელმძღვანელობა; მე პირადად სასკოლო უბანს განვაგებდი. ალბათ, აქ გამომჟღავნებული თვისებების გამო თუ იყო, რომ 1946 წელს კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად დამაწინაურეს.. .

მახსოვს, ერთხელ რუსთავის მშენებლობაზე მოვაწყეთ ექსკურსია.

მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა უდებდა საძირკველს მომავალ ქალაქს. რა შესაშური ენთუზიაზმით შრომობდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ კვების საქმე ვერ იყო ჯეროვნად მოგვარებული — მშენებლები სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას განიცდიდნენ. ნაომარ ქვეყანას ეკონომიკურად უჭირდა...

შინისაკენ გამობრუნებულს ერთი იდეა დამებადა... მერე იგი ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ განახორციელა კიდეც — რუსთაველ მშენებლებს ნობათად ოცდაათი ტონა ხილი ჩავუტანეთ... ეს პროცესი კინოფირზეც აღიბეჭდა და მაშინდელ პრესაშიაც საკმაოდ გახმაურდა... რუსთაველი მშენებლების მადლიერი მზერა კეთილ თანამგზავრად მომყვება მთელი ცხოვრების გზაზე.

1952 წელს ტასიკო პარტიის რაიკომის მდივნად, მერე მეორე მდივნად დააწინაურეს, 1960 წლიდან აღმასკომის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, 1961 წლიდან 1973 წლამდე რაიონის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა...

პერსონალური პენსიონერი ტასიკო ბეგიაშვილი გამომშვიდობებისას კვლავ თავის „სამოცწლიან ნახტომზე“ ფიქრობს:

— ბარაქიანი კახური შემოდგომასავით ჩემი ცხოვრების გზაც ხვავიანი გამოდგა — ორი ორდენი და ექვსი მედალი საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა ფრონტებზე ბრძოლისა და გამარჯვების დასტურად, ხალხისათვის გაწეული სამსახურის დაფასებად, ჩემი კომკავშირული შემართების ბედნიერ ნათელყოფად მესახება... — ამბობს იგი...

მ. სეტიელი

ივანე დიდმანიძე ქ. მახარაძის მკვიდრია. ეს ხალისიანი ჭარმაგი კაცი ძველი კომკავშირელი, სამამულო ომის ვეტერანი და რაიონული საბჭოს აღმასკომის 12 მოწვევის დეპუტატია, მახარაძეში მან ააგო კინოთეატრის, რაიონული საავადმყოფოსა და ბავშვთა ბაგის შენობები და ახლაც დაუღალავად იღვწის მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

კომკავშირელი 1925 წლიდან...

— ჩემი ძმა გრიშა „სპარტაკელი“ იყო, პირადად იცნობდა ბორის ძნელაძეს და ბევრს მიამბობდა სპარტაკელთა მუშაობაზე, — იგონებს ივანე დიდმანიძე. — გრიშა ჩემზე რვა წლით უფროსი გახლდათ, სამართლიანი, პრინციპული, შეუპოვარი, კომკავშირისა და პარტიის საქმის ერთგული კაცი იყო და მეც ამასვე ჩამაგონებდა. 1924 წელს, მენშევიკთა გამოსვლების დროს, ჩემი ძმა სხვა ბოლშევიკებთან ერთად შეიპყრეს და ეკლესიაში შეამწყვდიეს. მე სადილი მივუტანე მას და მის ამხანაგებს, მაგრამ გუშაგებმა არ მიმიშვეს, მცემეს და გამომაგდეს.

ამ შემთხვევამ დააჩქარა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება: ივანე დიდმანიძემ დაწერა განცხადება, რომლითაც ითხოვდა კომკავშირში მიღებას.

...მენშევიკური გამოსვლები ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი. მდინარე ნატანების საცალფეხო ხიდზე გაღმიდან კბილებამდე შეიარაღებულმა ცნობილმა მენშევიკმა შემოდგა ფეხი, აქედან — ჭაბუკმა ვანო დიდმანიძემ. „გადადი, ბიჭო, გზა მომეციო!“ — შემოუძახა მენშევიკმა. ვანო ჯიქურ დაიძრა წინ, თვალი თვალში გაუყარა მოპირდაპირეს. საოცარი ძალა იგრძნო მენშევიკმა და ყოყმანით დაიხია უკან, გზა დაუთმო ჩახმახივით შემართულ ახალგაზრდას.

— ამან საკუთარ ძალებში დამარწმუნა და ფრთები შემასხაო, — ამბობს ივანე დიდმანიძე.

მერე გადაება ერთმანეთს ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, სოციალისტური აღმშენებლობის წლები, მერე — ომი, მერე — დანგრეული მეურნეობის აღდგენა, ახალი სიმაღლეების დაპყრობა...

ახლაც ახალგაზრდებთანაა ივანე დიდმანიძე, მათთან ყოფნას, მათთან საუბარს არაფერი ურჩევნია, რადგან სულიცა და გულიც ჭაბუკური აქვს შერჩენილი.

და მიაბიჯებენ მხარდამხარ 20-იანი და 30-იანი წლების კომკავშირელები წინ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

გუზან რუსაიძე

«ᲐᲮᲣᲥᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲐ!»

ᲜᲣᲖᲖᲐᲠ ᲐᲣᲮᲐᲖᲐᲕᲐ

გამორჩეულ ადგილას დგას ეგნატე ნინოშვილის სახელობის მახარაძის პირველი საშუალო სკოლის შენობა: მაღლობზე, გადასახედზე... თითქმის მთელი ქალაქი მოჩანს აქედან.

თავისი ისტორიითა და ქვეყნის სასიკეთოდ გაწეული ღვაწლითაც გამორჩეულია ეს სკოლა. იგი 1846 წლის 14 (27) აპრილს გაიხსნა, მაშასადამე, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საშუალო სასწავლებელია. დღემდე მან აღზარდა 14 სოციალისტური შრომის გმირი, 50-მდე მეცნიერებათა კანდიდატი, 20-მდე მეცნიერებათა დოქტორი... აქ სწავლობდნენ ეგნატე ნინოშვილი, ფილიპე მახარაძე, საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე, კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი მთარგმნელი ფილიპე გოგიჩაიშვილი, სილოვან ხუნდაძე, სიკო დოლიძე, ალექსანდრე ალადაშვილი...

ბევრი, ბევრი რამ აქვს საამაყო და თავგამოსაჩენი მახარაძის პირველ საშუალო სკოლას, მის კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს. ამ მრავალრიცხოვანი კოლექტივის თითოეული წევრი, დიდიც და პატარაც, ყოველნაირად ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ყველა საქვეყნო — დიახ, არა მარტო სასკოლო, არა მარტო საქალაქო, არამედ უფრო დიდი მასშტაბის — ჭეშმარიტად საქვეყნო საქმეთა კეთებაში.

ნამდვილი საქვეყნო საქმე! — სხვანაირად ვერც უწოდებ ამ სკოლის თემურელთა და წითელ კვალმაძიებელთა მუშაობას, რომელიც აგერ, ამდენი წელია მიმდინარეობს დევიზებით: „აჩუქე ადამიანებს სიხარული!“ და „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“. სწორედ ადამიანისათვის სიხარულის მინიჭების, გადატანილი მძიმე ტრავმის შემსუბუქებისა და ჭრილობათა მოშუშების სურვილი ამოქმედებთ პიონერებს, როცა ისინი თავიანთი გულის სითბოს და ბავშვურ, უშუალო ღიმილს უზიარებენ შინმოუსვლელთა ოჯახებს თუ იმ ჯოჯოხეთურ ცეცხლსა და ტყვიის წვიმას გადარჩენილ ვეტერანებს.

„გულიანად შრომობენ თემურელები, კაი ვაჟკაცები დადგებიან“, ფიქრობდა გიორგი ერემი.

1966 წელს, რაზმეულის ერთ-ერთ შეკრებაზე, სკოლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა გ. ხოხლენკომ პიონერებს მოაგონა, რომ ომის დროს სკოლის შენობაში მოთავსებული იყო №1455 ევაკოჰოსპიტალი, სადაც ფრონტზე დაჭრილ მეომრებს მკურნალობდნენ. სამწუხაროდ, ყველა მებრძოლის გადარჩენა ვერ მოხერხდა, გარდაცვლილებს ქალაქის სასაფლაოს ერთ კუთხეში, საძმო საფლავში კრძალავდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა მათი ვინაობა...

პიონერებს დიდი წაქეზება და განსაკუთრებული მითითებები არ დასჭირვებიათ. იმავე შეკრებაზე გადაწყდა, რომ დაწყებულიყო ახალი ლაშქრობა დევიზით: „მამაცთა გზით“.

ბევრი, ბევრი შრომა დასჭირდათ პირველსკოლელ პიონერებს, ვიდრე დაადგენდნენ საძმო საფლავში დაკრძალულ მეომართა ვინაობას, სადაურობას, ვიდრე მოახერხებდნენ მათი ფოტოსურათების შოვნას. მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა და პიონერთა ოთახში გაჩნდა სტენდი „არავინ და არაფერია დავიწყებული“. სტენდიდან შემოგყურებენ ჭაბუკური ცეცხლით ანთებული სახეები: აი, ალიევი, ასლამაზოვი, ეშბა, პანკოვი... აი, ულიბოკოვი, ტიხონოვი, ქრისტესიაშვილი, ხოხლოვი... ვართანიანი, ვასილიევი, მალახოვი... ქალაქ მახარაძის საძმო საფლავში თურმე ერთად წოლილან ქართველი და რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი, აფხაზი და უკრაინელი... სტენდზე სკოლის პირველ წითელ კვალმაძიებელთა ფოტოსურათებიცაა გაკრული. უფროსი პიონერხელმძღვანელი მანანა გობრონიძე სიყვარულით გვიამბობს თითოეულ მათგანზე.

სკოლის შენობის ფასადზე, სადარბაზო შესასვლელის ორივე მხარეს, მემორიალური დაფებია გაკრული. წაიკითხავ და გაოცდები, უნებლიეთ გაგიელვებს ფიქრი — რომელიმე სამხედრო სასწავლებელში ხომ არ მოვხვდიო. მართლაც, აი, თურმე რა გამოჩენილ მხედართმთავრებს უსწავლიათ ამ სკოლაში, აი, ვისი გვარებია იმ მარმარილოს ოთხკუთხა დაფებზე ამოკვეთილი:

ნესტორ კალანდარიშვილი (ლეგენდარული „ციმბირელი პაპა“).

კონსტანტინე ლესელიძე, გენერალ-პოლკოვნიკი.

ვიქტორ ლესელიძე, პოდპოლკოვნიკი.

პორფილე ჩანჩიბაძე, გენერალ-პოლკოვნიკი...

სკოლის შესანიშნავ მუზეუმში (რომელიც, ალბათ, ერთი საუკეთესოთაგანია რესპუბლიკაში) მზერას იტაცებს გ. კელენჯერიძის შთამბეჭდავი ნახატი: „ნ. კალანდარიშვილი ლენინთან (1920 წ.)“

აქვეა ლესელიძეთა ოჯახისადმი მიძღვნილი სტენდი. ზედ მოთავსებულია ნინოს და ნიკოლოზის, მათი შვილების — სამამულო ომის მონაწილეთა — დავით, კონსტანტინე, ვიქტორ და ვალერიან ლესელიძეების ფოტოსურათები (სხვათა შორის, ვალერიან ლესელიძე ომში წასვლამდე ამ სკოლის პედაგოგი იყო).

VI რაზმი (მას მზია თოიძე მეთაურობს) კონსტანტინე ლესელიძის სახელობისაა. ამ რაზმის წითელმა კვალმაძიებლებმა სკოლაში უკვე მოიხვეჭეს ავტორიტეტი. დიდი კვლევაძიების შემდეგ მათ უკრაინაში, კიროვოგრადის ოლქის ზნამენსკის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკაში მიაგნეს თანაქალაქელი ალექსანდრე ტუღუშის საფლავს. ვლადიმიროვკა შორს არის და იქ ჩასვლა ბავშვებმა ჯერ ვერ მოახერხეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ნორჩი თემურელები ყურადღებას არ აკლებენ შინმოუსვლელის ოჯახს.

აქ, ქართულ მიწაში, მწარდამხარ წვანან სხვადასხვა ერის შვილები... მეშვიდეკლასელი შოთა გოგბრონიძე მოწიწებით ასუფთავებს წარწერებიან საფლავის ქვას.

— შარშან, 9 სექტემბერს, — გვიამბობს მზია თოიძე, — გაკვეთილების შემდეგ წავედით ალექსანდრე ტუღუშის ოჯახში. შევაკეთეთ ოდის კიბე, ღობე, დავასუფთავეთ ეზო, სახელმწიფოსთვის ჩასაბარებლად მოვკრიფეთ 15 ყუთი ხილი. განსაკუთრებით აქტიურად და ხალისით შრომობდნენ ლია თევდორაძე, გელა ლომჯარია, ლია ნინიძე, ილო მგელაძე... მასპინძლები კმაყოფილნი დარჩნენ.

ნოემბერში სკოლა სასახურავე შიფერით დაეხმარა ალექსანდრე ტუღუშის ოჯახს. რაზმის ბიჭებმა არავის დაანებეს წამოშველება, საკუთარი ზურგით მიზიდეს მასალა შინმოუსვლელის ეზოში.

— მახარაძელ მგელაძეთა ოჯახიდან ომში ოთხი ძმა წავიდა, — გვიამბობს მერვეკლასელი დათო ლომთათიძე. — ივანე და გრიგოლი ტამანის ნახევარკუნძულზე იბრძოდნენ. აქ გაიგეს ძმების — მაქსიმეს და კვიროსის გმირული დაღუპვა. შინ წერილი მოიწერეს: ბიჭები არ ვიყოთ, შური თუ არ ვიძიეთო. ულიტეს და ულიტეს ფაშისტები. მაგრამ თვითონაც ვაუკაცური სიკვდილით დაეცნენ საპუნ-გორის იერიშის დროს.

საუბარში მერვე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე თემურ სალუქვაძე ჩაერთო.

— ჩვენი რაზმის თემურელებმა ერთხმად ვიკისრეთ შინმოუსვლელ მგელაძეთა ოჯახზე ზრუნვა, — თქვა მან. — ომში დაღუპული ოთხი ვაუკაცის დედა უკვე ღრმად მოხუცებული იყო. გაზაფხულზე ვეწვიეთ უკანასკნელად (მერე მალე გარდაიცვალა). ბოსტანში მუშაობდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა, სიყვარულით მოგვესალმა და მოგვიკითხა. ბოსტანი დავუბარეთ, დავუფარცხეთ, კვლები გავუკეთეთ. მადლობითა და ლოცვაკურთხევით აგვავსო.

პირველსკოლელი თემურელები მარტო შინმოუსვლელთა ოჯახებზე როდი ზრუნავენ, სამამულო ომის ვეტერანთა ოჯახებთანაც მეგობრობენ. მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, მაგალითად, თანაქალაქელ დავით ნიკოლაიშვილთან. ამ კაცთან საუბარი მუდამ საინტერესოა — მას ფრიად მდიდარი ბიოგრაფია აქვს: სწავლობდა მახარაძის 1-ლ საშუალო სკოლაში, მერე დაამთავრა ბაქოს ქვეითთა სამხედრო სასწავლებელი. 1938 წელს მონაწილეობდა ხასანის ტბაზე გამართულ ბრძოლებში. ომის დაწყების წინ და ომის პირველ წლებში ლეიტენანტის წოდებით მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, ვლადივოსტოკში, სადაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ომის მეორე კერის გაჩაღება. 1943 წლის ზაფხულიდან დასავლეთის ფრონტზეა. იბრძოდა მოსკოვთან, ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში. ომი აღმოსავლეთ პრუსიაში, კენიგსბერგთან (ახლანდელი კალინინგრადი) დაამთავრა. ამ დროს უკვე მაიორი იყო და მკერდს უმშვენებდა წითელი დროშის, სამამულო ომის მეორე ხარისხის, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენები და თოთხმეტამდე მედალი. ომის შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში ტილზიტის (ახლა — სოვეტსკი) კომენდანტი იყო. 1956 წლიდან თადარიგის მაიორია, ხოლო აგერ 24 წელია, უცვლელად მეთაურობს მახარაძის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონულ საბჭოს.

ომის ვეტერანს, ერემი აბაშმაძეს, თემურელები — ლია სიორიძე, მაია ლომთათიძე, იაგორ კონტრიძე და გოჩა სურგულაძე — ეწვივნენ.

პიონერები ხშირად მიდიან დავით ნიკოლაიშვილის ოჯახში, ხან ერთ საქმეში წაეხმარებიან, ხან მეორე საქმეზე წაუკრავენ ხელს. დავითი ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე კაცია და პიონერების სტუმრობა უფრო იმიტომ კი არ ახარებს, რომ საოჯახო საქმეს

შეუმსუბუქებენ, არამედ იმიტომ, რომ ყურადღებიანი თანამოსაუბრეები ჰყავს, რომლებიც თვალებგაფართოებული და სმენაგამახვილებული ისმენენ ვეტერანის ნაამბობს, მის თავს გადახდენილ საბრძოლო ეპიზოდებს. ბავშვებს განსაკუთრებით ეამაყებათ, რომ მოსკოვის 38-ე საშუალო სკოლის ერთ-ერთი პიონერული რაზმი დავით ნიკოლაიშვილის სახელობისაა.

პიონერთა და ვეტერანთა ურთიერთობა ცალმხრივი როდია. სკოლაში შესანიშნავი ტრადიციაა დამკვიდრებული: ყოველი წლის 23 თებერვალს პირველი საშუალო სკოლის VII-X კლასებში პირველ გაკვეთილს — ტრადიციულ „გმირობისა და მამაცობის გაკვეთილს“ — სამამულო ომის ვეტერანები ატარებენ. ეს არის მამაცობის, საბრძოლო თანამეგობრობის, სიმტკიცის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის მრავლისმეტყველი მაგალითებით დატვირთული 45 წუთი, რომელიც თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება გაკვეთილის ფარგლებს. ამ დღეს და ამ გაკვეთილზე ნაცად მასწავლებლებს სცვლიდნენ და სცვლიან მიხეილ მელქაძე და ალფესი ტრაპაიძე, არკადი ვაშალომიძე და ნინა ახალაძე, ვალერიან გეგიაძე და შოთა მუავია, ამირან სიმონიშვილი, ვლადიმერ ჯაყელი და სხვები.

შარშან, 9 მაისს, სკოლის პიონერებმა და მოსწავლეებმა მახარაძის მაღაროთა სამმართველოსთან ერთად მოაწყვეს შეხვედრა ომის ვეტერანებთან და სოციალისტური შრომის გმირებთან. ომისა და შრომის გმირები გამოვიდნენ მოგონებებით, შემდეგ ჩატარდა დიდი კონცერტი.

— ვცდილობთ, რომ არც ერთი ვეტერანი, არც ერთი შინმოუსვლელის ოჯახი არ დაგვრჩეს ზრუნვისა და ყურადღების გარეშე, — ამბობს მანანა გობრონიძე. — ჩვენ გვესმის, რომ ამ საქმიანობას ორი მნიშვნელოვანი მხარე აქვს: გარდა იმისა, რომ სიკეთით მივუზღავთ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულებს, ამით, ამავე დროს, პატრიოტულ გრძნობას ვუღვივებთ პიონერებს, რომელთაც ხვალ-ზეგ, საჭიროების შემთხვევაში, თავად უნდა დაიცვან მშობლიური მიწა-წყალი. ერთი სიტყვით, კეთილი საქმე გატყორცნილი ბუმერანგივითაა: სიკეთისმქნელს იგი აუცილებლად უკან დაუბრუნდება.

დიახ, ასეა. და როცა მახარაძის პირველსკოლელი კვალისმაძიებლები და თემურელები, რომლებიც მუშაობენ დევიზით — „აჩუქე ადამიანებს სიხარული!“ — ვეტერანთა და შინმოუსვლელთა ახლობლების სახეზე გადაფენილ ღიმილს დაინახავენ, თვითონაც სიხარულს გრძნობენ ხოლმე პაწია, მაგრამ დიდი ადამიანური სითბოთი სავსე გულებში.

ფოტო ვ. ბორისენკოსი

 გადაწყდა: მომავალ კვირას თემურელები დავით ნიკოლაიშვილს ეწვევიან.

ასე ვუწოდეთ ჩვენს ახალ განყოფილებას, რომელიც მკითხველს გააცნობს იმ ადამიანებს, ვინაც მთელ თავის ცხოვრებასა და შემოქმედებით შრომას მოზარდი თაობის საკეთილო საქმეს ახმარს. მიმოიხედეთ ირგვლივ, ისინი ყველგან არიან: თქვენი სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე თქვენს ჯანმრთელობას დარაჯად უდგას ექიმი-კედიატრი, თქვენ სიყვარულითა და რუდუნებით გზრდიან თქვენი აღმზრდელები — მასწავლებლები, გაიხსენეთ რამდენი ღიმილიანი შეხვედრა, კეთილი რჩევა მიგიღიათ იმ სათნო ქალისაგან, თქვენს სასკოლო ბიბლიოთეკაში რომ გხვდებათ. ახლა ცოტა უფრო შორს გავიხედოთ, გავიხსენოთ ის მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები, რეჟისორები და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები, რომლებიც ქმაწვილებისთვის მუშაობენ, სათქვენო წიგნებს წერენ, ამ წიგნებს მხატვრულად აფორმებენ, თქვენთვის სიმღერებს თხზავენ, სათქვენო სპექტაკლებსა და კინოფილმებს დგამენ. ნურც იმ ადამიანებს დავივიწყებთ, რომლებიც თქვენთვის ლამაზი ტანსაცმელისა თუ ფეხსაცმლის მოდელებს ქმნიან. ასე გვესახება ამ განყოფილების სამომავლო გეგმები. ამჯერად კი ჩვენი სტუმარია საქართველოს დამსახურებული მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

ყველაზე საკვირველი

რაც თავი ახსოვს, სულ ხატავს. ხატავდა იმ ასაკში, როცა ბავშვებს ლაპარაკზე მეტად ხატვა ემარჯვებათ; ხატავდა მაშინაც, სხვა ინტერესები რომ გაუჩნდა. ყველაფერი იყო მისთვის ხატვა — საკუთარი არსებობის გამართლების საბუთი, საშუალება, მიზანი.

ასე დაიწყო...

წიგნების ილუსტრირება მოწაფეობიდანვე იტაცებდა. ახლა აგონდება, ჯერ ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ გააფორმა მხატვრულად, მერე დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ მოეწონა. — ნახატებად ქცეული ლიტერატურული გმირები უფრო მისაწვდომნი ხდებოდნენ თითქოს...

თბილისის სამხატვრო სასწავლებელში შევიდა. მხატვრობასთან და-

კავშირებული ყველა სირთულე ახლა უფრო უკეთ შეიგრძნო, საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებსაც ჩაუკვირდა.

არ დააცადა ომმა. ცხოვრება გაძნელდა. ყოველდღიურად მუშაობის საშუალებაც წაერთვა — ჭირდა საღებავების შოვნა.

— მახსოვს, მხოლოდ ერთგან იყიდებოდა მაშინ პიგმენტები, პუშკინის ქუჩაზე. ყოველდღე მივდიოდი. მაინც ვერ ვშოულობდი პიგმენტების გასახსნელ ხსნარს. მანქანის ზეთის ამარა ვიყავი. საშინლად განვიცდიდი. აღარც ფანქრები იყიდებოდა სადმე, აღარც ქაღალდი...

ომში რომ გაიწვიეს, სულ ყმაწვილი იყო, 18 წლისა, — სამხატვრო სასწავლებლის მესამეკურსელი. 1943 წლის გაზაფხული იდგა. ჰაერში ახლადგაკვირტული ხეებისა და თოფისწამლის სუნი ტრიალებდა.

რიგით ჯარისკაცად დაიწყო და ოფიცრის წოდებით დაამთავრა ომი. 1944 წლიდან მოწინავე ხაზზე იბრძოდა, უკრაინის მეორე ფრონტზე, საარტილერიო ნაწილში.

ომისდროინდელი მოგონებები... მათთან შებრძოლება დროდადრო ისე ძნელია, მით უმეტეს, მარტოდ ყოფნისას.

ზოგჯერ ასეც ხდება: დაინახავ, ბავშვები ომობანას თამაშობენ და ეს ფაქტი საშინელებამდე შეგზარავს კაცს, ტკივილს გაგიახლებს, აგაფორიაქებს, მაშინ კი...

ბავშვები... ისინი ყველგან იყვნენ — მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეც, გათავისუფლებულ სოფლებშიც, პარტიზანებთან, დაზვერვაზე, ფრონტის მოწინავე ხაზზე, სანგრებში.

ომისდროინდელი ბავშვები. მათ თითქოს ასაკიც არ გააჩნდათ. მუდამ ფრონტისაკენ იწევდნენ, შესანიშნავი მზვერავები დგებოდნენ, დიდი ვაჟკაცური სული ჰქონდათ, ერთს არ დაიჩივლებდნენ. მათ ვერ მოექცეოდი ისე, როგორც საერთოდ დიდები ექცევიან ბავშვებს — ალერსიანად, დამრიგებლურად, ვერ შეჰბედავდი. თავიანთი ნაადრევად გამკაცრებული სახეებით ეს ბიჭები მებრძოლთა მოკრძალებულ პატივისცემას იწვევდნენ. თუმცა, ისეთი წუთებიც იყო, გული ამოგიბრუნდებოდა ტკივილით, ბავშვობაწართმეულ, ნაადრევად დაკაცებულ პატარა ადამიანებს რომ დაინახავდი.

ამ ფიქრმა დიდხანს აწვალა და იქნებ, სულაც ამის გამო მოხდა, რევაზ ცუცქირიძის შემოქმედების მთავარ გმირებად რომ ბავშვები იქცნენ.

სწავლა განაგრძო ომგადახდილმა. — 1947 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სამხატვრო აკადემიაში. სტუდენტობის წლებში ბევრი რამ დახატა ბავშვებისათვის. აკი მის პირველ სერიოზულ, სადიპლომო ნამუშევარსაც ასე ერქვა — „ბავშვები ზაფხულში“.

მხატვარ-მულტიპლიკატორის საქ-



რევაზ ცუცქირიძე

მესაც სტუდენტობისას ეზიარა. კინოსტუდიას დაუახლოვდა. ქართული საზღაპრო ფოლკლორის გმირი პერსონაჟები იყვნენ მისი პირველი ნახატი ფილმის „მსახიობები“. იმ დროიდან სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში. ალბათ გახსოვთ ზაზა ბაწელაშვილის „მთვარის დაბადება“, ი. იაკოვლევის „ვასილისკუნძულელი გოგონები“, ქეთრინ მენსფილდის „პატარა გოგონა“ და ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი კიდევ ბევრი, ბევრი ლამაზი, კარგი მოთხრობა, რომლებიც მხატვრულად სწორედ რევაზ ცუცქირიძემ გააფორმა.

ახლა აგონდება, ყმაწვილკაცობისას ლურჯი ფერი უყვარდა. ლურჯი, თუ უფრო ბაცი — ცისფერი, მტრედისფერი, შაბიამნისფერი.

ეღიმება, მწვანე ფერს ვერ ვეწყობოდიო დიდხანს... მას, როგორც ფერმწერს, განსაკუთრებული, თავისთავადი დამოკიდებულება აქვს ფერებთან, ისევე, როგორც ბოლოს — სიტყვასთან. ეს თითქმის ერთი და იგივეა. განსაკუთრებულ ასოციაციებს იწვევენ ისინი მასში, აღქმის სხვაგვარ უნარს ბადებენ.

— ახლა უფრო თბილი, ცხელი ფერები მიზიდავს — ნარინჯისფერი, ყვითელი, მეწამული...

მთავარი? მხატვრისათვის, როგორც შემოქმედისათვის ბევრი რამ არის მთავარი: ნატურის ზედმიწევნით ცოდნაც და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გადმოცემაც, ყველაზე ნიშანდობლივის, დამახასიათებლის მიგნებაც და განწყობილებისათვის ფერების შეხამებაც. საერთოდ, სურათის მთელი ემოციური ჩარჩო...

სათვალეს ისწორებს. სარკმლის მიღმა გაკიდულ ცის ლაჟვარდ ნაჭერს გაჰყურებს. საინტერესოდ ლაპარაკობს, თანამიმდევრულად.

— მოძრაობას, პლასტიკას ხშირად სიტყვაზე უკეთ შეუძლია, აზრი გამოხატოს. მოძრაობა მოკლეა, სხარტი და საოცრად მეტყველი. ამიტომ ამჟღავნებს ყველაზე უკეთ სხეული მოძრაობაში თავის პლასტიკურობას. მე მიყვარს ადამიანების, მათი სხეულების, სახეების ხატვა, სხეულის, სახის პლასტიკაში ხასიათის პოვნა და ამოცნობა, მათი ახლებურად გამოსახვა.

არიან ადამიანები, წუთიერი შეხვედრითაც რომ კარგა ხნით გამახსოვრებენ თავს. გამახსოვრებენ, როგორც ქუჩაში ალალბედად შემოგებებულ მოულოდნელ სითბოს, როგორც შემთხვევით ნაპოვნ სიკეთეს, ღიმილს, კარგ განწყობილებას.

რევაზ ცუცქირიძეც ამგვარი ადამიანია. სადა, თავმდაბალი კაცი. მხატვარი, რომლის ზურგს უკან ორ ათეულზე მეტი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის წელი დგას... თბილისის სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრის დოცენტი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის წევრი, ბავშვების — ჩვენი ნორჩი მკითხველების მეგობარი და მოამაგე.

მის პედაგოგიურ ღვაწლს ორგვარი ინტერესი წარმართავს: ერთი მხრივ სტუდენტები, მეორე მხრივ — მისი ნახატების ნორჩი ადრესატები.

ყველა ჩვენთაგანს სჭერია ხელში „დედა ენა“, მაგრამ ალბათ ცოტამ თუ იცის, ვინ მოხატა ასე საუცხოოდ ეს მართლაც დედასავით საფიცარი წიგნი.

— „დედა ენის“ პირველი გამოცემის გაფორმებაზე 1955-57 წლებში ვმუშაობდი. დიდ ლაკონიურობას და სიზუსტეს საჭიროებდა ეს სამუშაო. ძალზე ვიღლებოდი. ყველაფერი ზედმიწევნით ლამაზი და, რაც მთავარია, გასაგები და სწორად შერჩეული უნდა ყოფილიყო.

ამბობენ, ბავშვებისათვის ხატვა განსაკუთრებულ სიფაქიზეს, აზრის სინათლეს, სიმარტივეს, სიმდიდრესა და მრავალსახოვნებას მოითხოვსო.

ეს თვისებები ჭარბად აქვთ ბატონ რევაზის ნახატებს. ისინი უშუალობით და გულწრფელობით იზიდავენ მნახველს, იმ უშუალობით და გულწრფელობით, რომლითაც მხოლოდ ბავშვს უნდა ესაუბრო.

რევაზ ცუცქირიძის ნახატებს რომ გაეცნობი და მერე მათი ავტორის განდობას მოისმენ, ბავშვებთან ვერ ვპოულობ საერთო ენასო, ცოტა არ იყოს, გაოცდები.

ერთი ასეთი სურათი აქვს რევაზ ცუცქირიძეს: ჯარისკაცურფარაჯიანი ორი პატარა ბიჭი გამარჯვების დღეს რაიხსტაგის კიბეზე შეხვედრია ერთმანეთს. სიხარულს შეუპყრია ორივე. პილოტურიან ქერა ბიჭს სახეზე ეტყობა, ოცნებით უკვე თავის ეზო-გარემოშია. უზარმაზარი, ქვაბურა რკინის ქუდი ჩამომხობია თავზე მის ამხანაგს. სხედან, აინუნშიც არ აგდებენ ირგვლივ მყოფთ. სახვალიო გეგმებს აწყობენ.

ეს ნამუშევარი ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდა, რამდენიმე წლის წინათ. სურათი გამახსოვრდებათ და უპირველესად, ალბათ, ომის თემის ასე გასაოცრად უბრალოდ, მთელი მტკივნეული სიცხადით და ახლებურად გადაწყვეტის გამო.

ეს დიდი ღირსებაა, მადლია. ყველზე აუცილებელი ფერია. ფერი, ურომლისოდაც დაუმთავრებელი დარჩებოდა რევაზ ცუცქირიძის ყველა ნახატი.

ნინო ხარაზიშვილი

ჯანლოჭარი ლიგიყორი

მეურნეობის საქმიანი ეზო. ნაირ-ნაირ მანქანებს მოუყრია აქ თავი. სხვადასხვა მარკის ტრაქტორებთან, ხისძარიან სატვირთოებთან და მძლავრ თვითმცლელებთან მექანიზატორები ფუსფუსებენ...

უცხო კაცს უმალვე თვალში ეცემა აქ გამეფებული წესრიგი და გარაჟებისათვის უჩვეულო სიწყნარე...

მიზეზი ყოველივესი? — დაინტერესდება ჩვენი მკითხველი — მაინც რა სასწაული, ჯადო მეუფობს ოკამის მეურნეობის ეზოში? რა ძალა წარმართავს და აწესრიგებს ამ უჩვეულო შრომითს ჰარმონიას?

ერთ კუთხეში „ბელორუსის“ ტიპის ტრაქტორთან სამუშაო კომბინეზონში გამოწყობილი ქალიშვილი მარჯვედ ატრიალებს მძიმე და მოუხერხავ ქანჩმჭერებს... ფაქიზად, მოხდენილად, უხმაუროდ ფუსფუსებს ქალიშვილი. კოლეგა მამაკაცები ცალ თვალს აქეთ აპარებენ და ძალაუნებურად ცდილობენ, ისეთი არაფერი წამოსცდეთ, რომ აქ გამეფებული მყუდროება უხეშად ხელყონ...

ეს ქალიშვილი ცნობილი კომკავშირელი მექანიზატორი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი **ნათელა ბუთხუზი** გახლავთ.

სწორედ ამ შრომისმოყვარეობით გამორჩეული კომკავშირელი მექანიზატორის სახელი და ავტორიტეტი დირიჟორობს ასე სასწაულებრივად საქმიან ეზოში ყოველ დილაუთენია. მისი პატივისცემა და რიდი ბადებს ამხანაგებსა და კოლეგებში საქმიან განწყობილებას, სამუშაო ატმოსფეროს, რაც დღე და ღამესავით განასხვავებს ამ ეზოს სხვა ათასი საქმიანი ეზოსაგან.

ჩვენი მოსვლა არც კი გაუგია — მთელი არსებით თავის საქმეში იყო ჩაფლული. რომ მივესალმეთ, მერმეღა გამოერკვა, წუთით თავი ანება მანქანას და მომლოდინე მზერით შემოგვაჩერდა.

— როდის შესდგა თქვენი შრომითი ნათლობა? — მცირეოდენი სავალდებულო შესავლის მერე ასე ჩამოვაყალიბეთ პირველი სახელდახელო შეკითხვა. ნათელას კონკრეტული პასუხი არც კი აღმოაჩნდა — ჩვენს სოფელში ყველა შრომობს, მეც პატარაობიდანვე მხარში ვედექი უფროსებსაო... ეს კია, თქვა მან ბოლოს—ფიზიკური შრომისადმი სიყვარული, შესაძლოა, სხვაზე მეტად გამიჯდა ძვალ-რბილში. როგორ მოხდა ეგ ამბავი, ანდა მაინცდამაინც მექანიზატორობა რაღატომ ამოვიჩემე, ამაზე უკვე რაიმე გარკვეული პასუხის თქმა მიძნელდებაო...

თუმცა სკოლის მერხიდან გამოყოლილი ერთი მოსაზრება ანგარიშგასაწევი უნდა იყოსო — ჩვენში ქალები „სამამაკაცო“, მძიმე საქმეებს ნაკლებად ეტანებოდნენ და ეტანებიან დღესაც. ვალენტინა ტერეშკოვას კოსმოსურმა რეიდმა ყველაზე ურწმუნონიც კი აიძულა, სულ სხვა თვალით შეეხედათ ქალთა შესაძლებლობებისათვის, მათი ფიზიკური და სულიერი პოტენციისა და შემართებულობისათვის... თვითონ ჩვენ „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებსაც, საკუთარი ძალების რწმენა განგვიმტკიცდა. ჩემი ტრაქტორით სეირნობა აბა, რა მოსატანია იმ კოსმოსურ საოცრებებთან, მაგრამ მგონია, რომ მძიმე ტექნიკით გატაცებას მნიშვნელოვანწილად იმ ღირსახსოვარმა მოვლენამაც შეუწყო ხელი...

— ვინ იყვნენ თქვენი პირველი მასწავლებლები?

— მეურნეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელი ბაგრატ ავლოხაშვილი და იმავე ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტი ოთარ ავლოხაშვილი. მათ, ასე ვთქვათ, ჩემს გატაცებას ფრთები შეასხეს და მშობლებთანაც მიმფარველეს — დაარწმუნეს, რომ მექანიზატორობაში გოგოსათვის სათაკილო არაფერი იყო...

ნათელა ბუთხუზი

— ყველაზე დიდი სიხარული რას მოუტანია თქვენთვის?

— რვა წელია, რაც მეურნეობის მინდვრებს დავტრიალებ. ბედნიერი დღეები უკვე ბევრი მქონდა. პირველი დიდი სიხარული 1974 წელს ჩემი შრომის საყოველთაო აღიარებამ მომიტანა, როცა საკავშირო კომკავშირის მე-17 ყრილობის დელეგატად ამირჩიეს და „ბელორუსის“ მარკის ტრაქტორით დამაჯილდოვეს.

1978 წელს მეორედ ამირჩიეს საკავშირო კომკავშირის მე-18 ყრილობის დელეგატად. როგორც ხედავთ, ასაკისა და დამსახურების კვალობაზე დაფასება არ მაკლია...

ჩვენი სახელდახელო საუბარი დასასრულს მიუახლოვდა. ცქრიალა გოგონა გამოგვემშვიდობა და კვლავ თავის საქმეს მიუტრიალდა. მალე მის „ღვინიას“ მეურნეობის მინდვრებისაკენ უნდა გაენავარდა, იმ საპატიო ასპარეზისკენ, სადაც იჭედება ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერება, საიდანაც გამოულევლად მოედინება ხვავი და ბარაქა საბჭოეთის ქალაქებისა და სოფლებისაკენ და სადაც ნათელასდარი კომკავშირელები „არსობის პურს“ ახვავებენ მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ...

საიმედო ჯოლო გოლი

ჯ. ბოლოთაშვილი (მარცხნიდან პირველი) და მისი რაზმი მშენებლობაზე.

ჯუმბერ ბოლოთაშვილი კომკავშირულ თაობათა ჯაჭვის ბოლო რგოლს წარმოადგენს... მისი ბიოგრაფია ახლა იკვეთება. ბიოგრაფია განათლება-საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და შრომის ასპარეზზე. პირველს საძირკველი ეყრება თბილისის უნივერსიტეტის კედლებში — ჯერ კიდევ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხვისთანავე ჯუმბურს კურსბიუროს კომკავშირის მდივნად ირჩევენ, ამჟამად ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, მომავალი პედაგოგი თუ მეცნიერ მუშაკი ჯუმბერ ბოლოთაშვილი ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეა.

შრომითი ბიოგრაფია... იგი სმოლენსკის ოლქში არაშავმიწანიადაგიან ყამირზე გამოიკვეთა. ორი წლის საველე გამოცდილება ცოტას როდი ნიშნავს, თუმცა ამის შესახებ მოვუსმინოთ თვითონ ჯუმბერს.

— სმოლენსკის ოლქში, ლესნოგორსკის, როსლავლისა და მონასტირშჩინის მშენებლობებზე ყოველწლიურად ათასობით უნივერსიტეტელი შრომობს... ჩვენი ფაკულტეტის რაზმი — „ოქროს საწმისი“ მუდამ გამოირჩეოდა დისციპლინირებულობით, პასუხისმგებლობის გრძნობით, შრომითი მიღწევებით...

— თქვენ, პირადად, როგორც „ოქროს საწმისის“ კომისარს, რა მოგცათ ყამირმა?

— თუ სასწავლო სემესტრები სტუდენტთა გონებრივი წვრთნის ასპარეზია, ყამირი შეიძლება ადამიანურ თვისებათა ლაკმუსს შევადაროთ... ყველაზე ნათლად სწორედ აქ შეიცნობ საკუთარ თავსაც და თანამოძმესაც, აქ ადამიანი ეჩვევა დამოუკიდებლობას, „ჭირსა შიგან გამაგრებას“, და, რაც მთავარია, იმუშავებს შრომითს ჩვევებს, უვითარდება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, სწავლობს დაღვრილი ოფლის ფასს და, აქედან გამომდინარე, მშობლების პატივისცემას, უფროსების დაფასებას; უღვივდება მამულიშვილური გრძნობები...

— რა დაგამახსოვრდათ ყამირიდან?

— ლესნოგორსკის მშენებლობაზე მუშაობისას შეფობა გავუწიეთ იქაური საშუალო სკოლის პიონერებს. შრომითი წარმატებებისათვის სტუდენტთა ზონალურმა შტაბმა ერთი მეტად საინტერესო ექსკურსიით „დაგვაჯილდოვა“. სმოლენშჩინის მეზობლად, ბელორუსიის ტერიტორიაზე, სოფელ რუავკაში ჩვენი ლეგენდარული თანამემამულე, პოეტი მირზა გელოვანი განისვენებს. „ოქროს საწმისის“ წევრებმა მოვინახულეთ მისი საფლავი, გავიცანით მირზა გელოვანის სახელობის რუავკის საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული, ნორჩებს გადავეცით მხატვრული ლიტერატურა მირზას შესახებ. ამჟამად მათთან დიდი მეგობრობა გვაკავშირებს, ამისი სიმბოლური გამოხატულება იქნება მემორიალური დაფა, რომელსაც კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად აფორმებს და რუავკელი პიონერებისათვის გასაგზავნად ამზადებს ჩვენი ფაკულტეტი.

ამ მემორიალურ დაფასთან ერთად განზრახული გვაქვს ბელორუს პიონერებს მირზას ბიუსტიც ჩავუტანოთ...

— მომავლის გეგმები?

— ჯერ სწავლა და საზოგადოებრივი საქმიანობა... ხოლო, როცა სამგზავრო ზარები დარეკავენ — კვლავ ყამირი...

მთამსვლელური წესია — ჯგუფს ბოლოში ჯანმაგარი ალპინისტი უდგას ყოველთვის — მის ხელში სამაშველო თოკი არ უნდა დასრიალდეს... ზურგის ქარი ვუსურვოთ თავის კომკავშირულ ლაშქრობებში გულოვან ჭაბუკს, ასე მარდად რომ ჩასდგომია კვალში წინმავალთა გაკვალულ ბილიკს და წინაპართა თქმისა არ იყოს, თავისი „შრომითა ჰქმნის ადგილსა მას“...

მირონ ხერგიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუმელი ერთი წუთით

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოთხრობა

მხატვარი ჯ. ლოლუა

ტრაქტორისტი პეტრე შარშან მიწის ხვნისას მუხის მორს წააწყდა. მსხვილი მორი იყო, ორი კაცი ძლივს შემოუწვდენდა ხელებს. ეტყობოდა, მუხა ვიღაცას ალაზნის ჭალასთან ტყეში მოეჭრა, ცოტაზე ეთრია, მერე რატომღაც თავი მიენებებინა. კარგა ხნის წინათ მოჭრილი ჩანდა, მღიერა სოკოებით გადაპოპკილი ქერქი აქაიქ ჭიას შეეჭამა, მერქანი კი ისევ საღი ჰქონდა. პეტრემ მორი ტროსით ტრაქტორს მიუბა და შინ მიათრია, უნდოდა საწნახელი გაეკეთებინა და მამაპაპურად, ფეხით დაეწურა ყურძენი. მაგრამ ვისაც უთხრა, ყველამ დაუშალა, — ახლა ყურძენს ფეხით ვინა წურავს, როცა ხელით სატრიალებელი საწურებია, რასაც საწნახელში მთელი დღე მოუნდები, საწურით ერთ საათში მორჩები; გირჩევნია, ეგ მორი დახერხო, ზამთარში შეშად გეყოფაო.

პეტრემაც გადაიფიქრა საწნახლის გაკეთება, მაგრამ შეშად მაინც ვერ გაიმეტა მორი. გადაწყვიტა, სავენახე ბოძებად დაეხეთქა, ოცი ბოძი გამოუვიდოდა, მეტი მის ვენახს არც სჭირდებოდა, ალაგ-ალაგ დაფეხვილ ბეტონის ბოძებს გამოცვლიდა. ეს აზრი მაშინ მოუვიდა, როცა მეკასრე საბა შეევაჭრა. ასი მანეთი აძლია, მაგ მორისგან კასრებს გავაკეთებ, ერთ ოცლიტრიანსაც გიფეშქაშებო. ფულის შეძლევამ გააღიზიანა პეტრე; სავენახე მორებად მინდაო, მიახალა საბას.

— მაგისთვის იმეტებ? კარგი ხარისხის ბეტონის ბოძებს მოგცემ, გამიცვალე.

— არ მინდა, როგორც ჩემს მამა-პაპას უწირნია, მეც ისე უნდა ვწირო. ხის ბოძებზე უნდა გავჭიმო მავთული, — მიუგო პეტრემ.

დეკემბრის ერთ კვირადღეს პეტრე მორის დაპობას შეუდგა. ძალიან გაუჭირდა, მერქანი ქვად ქცეულიყო, რკინის სოლს უკანვე ისროდა. მაინც არ მოეშვა და ბევრი ჯაფის შემდეგ, როგორც იქნა, მორი შუაზე გააპო. შემდეგ საქმე უფრო იოლად წავიდა. რამდენიმე ბოძი რომ აართვა, ბინდიც ჩამოწვა, აცივდა და თოვამაც მოუხშირა.

პეტრემ სოლები აკრიფა და ურთოსთან ერთად საჩეხში შეიტანა. შემდეგ ტალახიანი ჩექმები კართან დაფენილ სველ ტილოზე გაიწმინდა და შინ შევიდა. სახლში უფრო ბნელოდა. თუნუქის ღუმელში ცეცხლი ჩამქრალიყო. მეუღლეს აკვნის თავზე მკლავები ჩამოეწყო, ზედ თავი დაედო და ჩასძინებოდა. ეძინა აკვანში ჩაკრულ პატარა ნოშრევანსაც.

პეტრემ ფრთხილად დაადო მხარზე ხელი მეუღლეს.

— გძინავს, ნანო?

ნანომ თვალი გაახილა. ჯერ აკვანში მძინარე ბიჭს დახედა, მერე პეტრეს მიაჩერდა.

— რა იყო?

— ადე, გაცივდები, ღუმელიც ჩამქრალა.

პეტრემ ღუმელთან ჩაიმუხლა, ცეცხლი გამოუჩხრიკა, შეშა მიუმატა და ნაკვერცხლებს გასაღუებლად ფრთხილად შეუბერა.

— გოგო არ მოსულა? — იკითხა ნანომ და დაბუჟებული ხელების სრესით ფეხზე წამოდგა.

ცეცხლი აბრიალდა. პეტრემ ღუმელის კარი დახურა და ცოლს გაკვირვებულმა შეხედა.

— შინ არ არი?

ნანომ სკამის საზურგეზე გადაფენილი ნოშრევანის სველი საფენები სკამიანად ღუმელთან მიაჩოჩა, ქმარს არაფერი უპასუხა.

პეტრემ ჩამრთველი გადააბრიალა. ოთახი ელექტროშუქით გაივსო.

— სად უნდა იყოს?

— ოთართან...

— ძალიან გაეჩვია იქ! სულ მიხაკოანთა გდია.

— ამხანაგია! რა გინდა, წესიერი ბიჭია. ერთად მეცადინეობენ.

პეტრე ფანჯარას მისჩერებოდა. გარეთ სულ უფრო და უფრო ბინდდებოდა. საჩეხში მოფარფატე თოვლის ფიფქები დაორთქლილ მინებს აწყდებოდნენ.

— ისე გაიზარდა, თითი არ დამიკარებია. იმიტომ გათამამდა.

— ცემაღა აკლია!

— აკლია, მა რა, თორემა აქამდე გარეთ რა უნდა, გვერდით გედგებოდა და მოგეხმარებოდა.

— მაგის დრო მაინც არ ექნება, ხო იცი, რა მეცადინე ბავშვია.

— ბავშვია! ბავშვს რა უგავს, ლამის სიმაღლეში გამასწროს!

ნანოს ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— ჰო, დედა ენაცვალოს, ამ ზაფხულს მაინც ძალიან აიყარა ტანი.

პეტრემ არაფერი თქვა.

მერვეკლასელის კვალობაზე ხათუნა მართლაც დიდსა ჰგავდა — დაქალიშვილებულიყო. სადმე რომ შეაგვიანდებოდა, პეტრეს არ მოსწონდა.

— პეტრე, შენ ბავშვთან დარჩი, მე მიხაკოანთა გადავალ, გოგოს წამოვიყვან.

პეტრემ დაორთქლილი მინა გაწმინდა, ფანჯრის რაფას ხელები დააყრდნო და გარეთ დაჟინებით დაიწყო ცქერა.

— გოგო მოდის? — ჰკითხა ნანომ, ეგონა, ხათუნა გამოჩნდა და პეტრე იმას უყურებსო.

— არა!

— მა რა თვალები დაგაწყდა, აკვანს მოხედე, კაცო.

— დამაცა!

— რა ნახა იმისთანა! — წაილაპარაკა ნანომ და სკამი უკან დასწია, რომ გახურებულ ღუმელს საფენები არ აელანძა. აკვანიც განზე გადადგა.

პეტრემ ნანოს გამოხედა. გაჯავრება აღარ ეტყობოდა, სახე ფიქრიანი გახდომოდა.

— მოდი აქ! რამე უნდა გაჩვენო.

ნანო ფანჯარასთან მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ ფერდობს გახედე!

გარეთ ბნელოდა. ეზოს გადაღმა ქუჩაში ნეონის ნათურები ბჟუტავდა. უფრო შორს, იქ, სადაც მთის ფერდობი უნდა ყოფილიყო, აღარაფერი ჩანდა.

— ვერაფერს ვხედავ ისეთს! — თქვა ნანომ.

— გაღმა სინათლეს ვერ ამჩნევ?

ნანომ მზერა დაძაბა. შორს მართლაც პაწაწინა, კვერცხისგულის ოდენა შუქი ანათებდა.

— ვხედავ.

— თუ იცი, საიდან მოდის?

— რა ვიცი!

— პელას სახლიდან.

გაკვირვებულმა ნანომ ერთ წამს მეუღლეს თვალი შეავლო, მერე ისევ გარეთ დაიწყო ყურება.

— პელასი არა!

— მა იმ ფერდობზე პელას სახლის გარდა სხვა გეგულება?

— ვინ აანთებდა?

— რა ვიცი!

— ნათესავი ხომ არავინ მოვიდა?

— სად ჰყავდა ნათესავი?

— იქნებ გამოჩნდა!

— როცა ცოცხალი იყო, არავის გახსენებია, სოფლის დასამარხი გახდა, და ეხლა გამოუჩნდა ნათესავი?

ნანომ პეტრეს ხელი ხელზე სტაცა.

— ვაიმე!

— რა იყო!

— ის ხო არ არი?

— ვინა?

— ირაკლი!

— ე, რას ამბობ, დაღუპვის დეპეშა იყო მოსული.

— მერე რა. რამდენი შემთხვევა ყოფილა, ვინმეს დაღუპვის დეპეშა მოდიოდა, კარგა ხნის გამოგლოვილი გვყავდა და ერთ მშვენიერ დღეს თვითონ გამოჩნდებოდა ხოლმე.

— რას ამბობ, ნანო, ირაკლი რომ იყოს, აქამდე მთელი სოფელი გაიგებდა.

— მა თავისთავად აინთო სინათლე?

— არ ვიცი, წავალ და გავიგებ!

— გოგო?

— ჯერ მიხაკოანთა გადავალ!

— არაფერი უთხრა ისეთი, პეტრე, ხო იცი, უკვე დიდია...

პეტრემ ხმა არ გასცა. ლაბადა ჩაიცვა, გარეთ გავიდა, ეზო ჩქარი ნაბიჯით გადაიარა და სასოფლო გზას დაადგა. მიდიოდა მიხაკოანთა და თვალი ფერდობისკენ გაურბოდა. გზიდან უფრო გარკვევით მოჩანდა შუქი.

— როდის დავმარხეთ პელა ძალო? — ჰკითხა თავის თავს პეტრემ და, კარგად რომ მოეფიქრებინა, ფეხი შეაყენა. პელა მარტში, ცხრა თვის წინათ მიაბარეს მიწას.

ჯარისკაცის დედა სოფელმა დაიტირა. საფლავს რკინის ღობე შემოავლეს. მას შემდეგ კარგამოკეტილია მისი სახლი. ეზოში სარეველა მომრავლდა, კარწინ ვენახი გავერანდა, საბჭომ რამდენს არ ურჩია, სახლი აეღო, მაგრამ არავინ ახლოს არ გაეკარა: მაგ მიწაზე მოწეულ ყურძენს ცოდვით რა გვაჭმევს, ღვინოს რა დაგვალევინებსო. გაუსხლავ, გამოუბარავ ვენახში ვაზმა თითო-ოროლა მტევანი მაინც გამოიტანა. არავის მოუწყვეტია, ბავშვებსაც არ შეუწოდებიათ ხელი, სულ ჩიტებმა გამოკენკეს, კრაზანებმა გამოსუტეს მარცვალი.

ფიქრებში წასული პეტრე ფერდობზე ამავალ ბილიკს დაადგა. ცოტა მანძილი რომ აიარა, შედგა. აქ რა მინდაო, თქვა, უკან მოიხედა, ჯერ ხომ მიხაკოანთა უნდა გაეარა გოგოს დასაძახებლად. უკან გამობრუნება გადაწყვიტა, რომ დაინახა, ბილიკზე ვილაც მოდიოდა, მალე იცნო — საბა იყო.

— რომელი ხარ? — იკითხა საბამ.

— პეტრე ვარ.

— შენც იქ მიდიხარ?

— სადა?

— პელას სახლში!

პეტრე შეყოყმანდა, უცებ ვერ მოიგონა, რა ეპასუხა, ისევ საბა ალაპარაკდა:

— მა სად წახვალ, ეს ბილიკი სწორედ იქ მიდის. წამოდი, რაღას უდგეხარ.

პეტრეც მიჰყვა, ავალ, გავიგებ, ხათუნას მერე ვნახავო, გაიფიქრა.

— ჩემმა დედაკაცმა შენიშნა სინათლე. აღარ მაისვენა, წადი, ნახე და წადი, ნახეო.

— ნეტავ ვის გაახსენდა უპატრონო სახლი? — თქვა პეტრემ.

— მეც მანდ არა ვარ? ის რო იყოს? — ფეხი შეაყენა საბამ.

— ნანომაც მაშინვე ეგ გაიფიქრა!

— შენა? შენ რა გგონია?

— რა ვიცი, დაღუპვის დეპეშა რომ მიიღო პელა ძალომ, შვიდი წლის ვიყავი, გუშინდელ დღესავით მახსოვს, იმის შემდეგ ოცდათვრამეტი წელი გავიდა.

— მაშინ მე მოსკოვთან ვიბრძოდი, ბატარეის მეთაური ვიყავი. ეე, რა მალე გაფრინდა სიჭაბუკის წლები. ირაკლი ჩემი ტოლა იყო, ომში ერთად გაგვიწვიეს. ავჭალამდე ერთად ჩავედით, მერე სხვადასხვა ეშელონში მოვხვდით. აი დედასა, რა ბიჭი იყო, რა კალატოზი! ჩვენი სოფლის ძველი სკოლა მაგის აშენებულია. ახლანდელ ახალგაზრდებს კი სუ ინჟინრობა, ექიმობა და აგრონომობა უნდათ. ჩემი ხელობა აიღე. მთელ რაიონში ორი მეკასრეღა დავრჩით. ვის არ ვეხვეწე: მოდი, შვილო, გასწავლო, ტკბილი პური ჭამე-მეთქი. არ უნდათ. მე რომ მოვკვდები, ალბათ, ეს ხელობაც მოკვდება, ჰო, ქართველო, რა ქენი, ის მუხა დახეთქე?

— ხუთი ცალი სავენახე ბოძი ავართვი ჯერჯერობით!

— თავის ნათქვამი ხარ. — საბამ აღმართს ახედა, — მივედით?

— ცოტაღა დაგვრჩა!

— ირაკლის მამა გახსოვს?

— არა, მამაჩემისაგან გამიგია.

— კარგი მეურმე იყო, ურმებს თლიდა. საიდან არ მოდიოდნენ, რომ ტიტიკოს გაკეთებული ურემი ეყიდათ. ბოლოს ხო იმის წერა გახდა. ჩალაუბნიდან სახლის გასაწყობად წიფლის დახერხილი მასალა მოჰქონდა, ნუკრიანის კალოებზე, კოფოზე ჩაძინებულს ურემი გადაბრუნებოდა და ქვეშ მოქცეოდა. საწყალი მკვდარი ჩამოიტანეს.

ბილიკი ძეძვით შემოღობილ ეზოსთან შეწყდა.

ჭიშკარი ღია დახვდათ.

— შინ შევიდეთ, — ხმადაბლა თქვა საბამ და აივნისაკენ გაემართა.

აივანს ფიცრის იატაკი ჰქონდა, მთლად ახალი, შარშან, პელა ცოცხალი რომ იყო, მეურნეობამ გაუკეთა, სახურავიც გაუახლეს.

ორი მამაკაცის ფეხქვეშ იატაკი აჭრიალდა. უმინო ხის გულიან კართან საბა შედგა, ფრთხილად დააკაკუნა.

შიგნით უკანდაწეული სკამის ხმა გაისმა. კარი გაიღო და ორი შავი თვალი შემოაცქერდათ. გაოცებულ პეტრეს პირი ღია დარჩა, — კარში მისი ხათუნა იდგა.

— ეხეე, — შესძახა პეტრეზე არანაკლებ გაკვირვებულმა საბამ. ვიწრო კარში განიერი მხრები რომ შეე-

ტანა, ოთახში გვერდულად შევიდა. პეტრე ისევ აივანზე იდგა.

ხათუნამ გარეთ გამოყო თავი.

— შემოდი, მამა.

ისიც შევიდა და, თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი ყელში ეცაო, ბრაზით კინაღამ გაიგუდა — მიხაკოს ბიჭი ოთარიც იქ დახვდა, მოგუგუნე თუნუქის ღუმელთან იდგა. პეტრეს წამით ჰკიდა თვალი და იატაკს დააცქერდა.

— ეგე, ვინ ყოფილან, კაცო, რას მოვიფიქრებდი, — თქვა ღიმილით საბამ და ღუმელთან სკამი მიიტანა. ხათუნამ საბას გვერდით მამასაც დაუდგა სკამი.

— დაჯექი, მამა!

პეტრე მილურსმულივით იდგა. სირცხვილის ალმური გადასდიოდა სახეზე, ყურები დამდუღრულივით ეწვოდა, გულს გამალებით გაუდიოდა ბაგაბუგი. „მა საცემი არ არი?“ — თავში მარტო ეს ფიქრი უტრიალებდა. იქნებ სჯობდა, ხელი ნაწნავში ეტაცნა და დაეთრევნა, მაგრამ მარჯვენა ისე დაუმძიმდა, ეგონა, ზედ ურო მაქვს მიბმულიო. „ეს რა დღეში ჩამაგდო ამ მამაძაღლმა! აქ რამ მოიყვანა, კაცო, მიხაკოს ბიჭთან ერთად! ეხლა ისიც რომ ლენჩივით დაჰყურებს იატაკს! ნეტავი რას გადაეკიდა ამ გოგოს, რა დროს ამათი ეგეებია. არა, აღარც ხათრი, აღარც მორიდება! მიხაკოს ვინ დასცინებს, ბიჭის მამაა, ხვალ მთელი სოფელი ხათუნაზე ილაპარაკებს“.

პეტრემ ბიჭისკენ გაიწია, ორი ნაბიჯი გადადგა და საბამ ლაბადის კალთაში ჩასჭიდა ხელი.

— დაჯე, პეტრე, დაჯე!

პეტრემ საბას მოხედა. — დაჯექი, ბიჭო! — ეშმაკური ღიმილით შემოსცქეროდა საბა.

პეტრე დაჯდა. თვალი თუნუქის ღუმელს დაადგა. ჟანგისაგან შეჭმული, დაჩვრეტილი კედლებიდან ცეცხლი ციცინათელებივით გამოსჭვიოდა.

მხარზე საბას მძიმე ხელი მოხვდა.

— კაცო, პეტრე, ცუდად ხომ არა ხარ?

პეტრემ მოიხედა.

— რაო?

— ცუდად ხომ არა ხარ, თქვი რამე!

პეტრემ უგემურად გაიღიმა, ხელები გაშალა, რა მეთქმისო. მერე იფიქრა, არც სიჩუმე ვარგა, საბა იტყვის, კაცი კი არა, ჩვარი ყოფილა — ამ შეღამებულს გოგო მიხაკოს ბიჭთან ერთად სადღაც გადმოკარგულა და ხმაც არ გასცაო.

პეტრემაც ხმა ამოიღო, ოღონდ რა ხმა ჰქონდა, თავისი იყო თუ სხვისი, ვერ იცნო, ვიღაც ხრინწიანი, ავადმყოფი ჩასახლებოდა სხეულში.

— აქ რა გინდა, გოგო?

ხათუნას პასუხი არ დაუგვიანებია.

— დღეს ირაკლის დაბადების დღეა, მამა!

— ირაკლის დაბადების დღე, — გაიმეორა პეტრემ. უცებ ვერ მიხვდა, ვინ ირაკლის დაბადების დღე იყო, მერე რაღაც გაახსენდა, — ჰო, ირაკლი... — ბოღმისაგან დაღრეჯილი სახე სწრაფად შეეცვალა, რაღაც კარგი, ჯავრის დამთრგუნავი გრძნობა ჩაუსახლდა სულში, თვალი ჭუჭრუტანებში ღუმელის მოციმციმე ცეცხლს მოსწყვიტა და ხათუნას შეხედა. ხათუნას სამკუთხა ბარათი ეჭირა ხელში.

პეტრე შვიდი-რვა წლის ბიჭი იყო, როცა სოფელში მოსული ფოსტალიონი (იმასაც პეტრე ერქვა) ამ ბარათებს არიგებდა. პატარა პეტრეს სეხნიას ეძახდა, ზოგჯერ წერილებსაც ანდობდა დასარიგებლად.

— შენ გაზრდას, სეხნი, აი იმ გოლგოთაზე აირბინე და პელას ეს წერილი აუტანე, — ეტყოდა.

ბიჭიც ჩიტივით ამოფრინდებოდა აღმართზე, პელა ძალოს ფრონტიდან მოსულ წერილს მიურბენინებდა. გახარებული პელა უსაჩუქროდ როგორ გამოუშვებდა, ყურძნის ჯაგნიდან მტევანს ჩამოუჭრიდა, ან ჩურჩხელას ჩაუგდებდა ჯიბეში.

— პელა ბებო ყოველ წელს უხდიდა ირაკლი ძიას დაბადების დღეს, დაგვიძახებდა ბავშვებს, მოგვცემდა ამ წერილს და გვაკითხებდა, — ხათუნამ ოთარს გადახედა, — არა, ოთარ?

ოთარმა თავი დაიქნია, ისევ იატაკს ჩასჩერებოდა.

„მორცხვი ბიჭია“, — გულში დაასკვნა პეტრემ.

— ღმერთმა აცხონოს, კაი დედაკაცი იყო! — ჩაილაპარაკა თავისთვის საბამ.

პეტრემ თვალი ოთახის შუაგულში მდგომ, ყვითელმუშამბაგადაკრულ მაგიდაზე გადაიტანა, ზედ ირაკლის ფრონტული ბარათები ეწყო. იქვე ცისფერარშიაშემოვლებული თეფში იდგა, ზედ რამდენიმე კარამელი ეყარა.

— დღეს მე, ოთარმა და ფატიმ მოვილაპარაკეთ, ირაკლი ძიასთვის დაბადების დღე გადაგვეხადა.

— ეგე, კაცო, — ხელს ღონივრად უტყაპუნებდა საბა მხარზე პეტრეს. — თქვენ გენაცვალეთ, თქვენა, კარგები ხართ, კარგები; მაგას ჩვენ ხომ ვერ მოვიფიქრებდით.

— ფატიკო სადღაა? — ვერ მოითმინა და იკითხა პეტრემ.

— შინ წავიდა, ნამცხვარი უნდა ამოიტანოს, დედამისმა საგანგებოდ გამოგვიცხო.

„მე კი რეები მომივიდა ამ მუდრეგ თავში. კინაღამ ეს ბიჭი შემომელახა, — პეტრემ ოთარს შუბლქვეშიდან გახედა, — რა სირცხვილს ვჭამდი. ნეტავი თუ მიხვდა, მაგისკენ რომ გავიწიე?“

ახლა პეტრე იმაზე ფიქრობდა, რანაირად მოეგო ბიჭის გული. გამოსავალიც იპოვა: მამაშენი როგორ არი, სოფელშია თუ ტარიბანაში, ცხვართანო, — ჰკითხა ოთარს.

ბიჭი გამოცოცხლდა, პეტრეს თვალი გაუსწორა. მამა ტარიბანაშია, სამშაბათამდე არ ამოვაო, — მიუგო.

აივნიდან ფეხის ხმა მოისმა.

— ფატიკო მოდის! — წამოიძახა ხათუნამ და კარს ეცა. მართლაც ის იყო. ყაყაჩოსავით წითელი პალტო ეცვა. წინ გამოწვდილი ხელებით ქაღალდგადაფარებული ნამცხვარი ეჭირა. ოთახში ვანილისა და მოხალული ნიგვზის სუნი დადგა.

ფატიმ პეტრე და საბა რომ დაინახა, პაპაც მოდისო, — უფრო უფროსების გასაგონად თქვა.

აივნის იატაკი მძიმედ აჭრიალდა. ზღურბლზე მაღალი, მთასავით კაცი გამოჩნდა. ცხვრის ტყავის ჯუბა ეცვა. ცალ ხელში ფუჩეჩდაცობილი ღვინის ხელადა ეჭირა, მეორეში — შავი ჩანთა, ჩანთის მაღლიდან ორი დიდი შოთი პური იდო.

— აქა მშვიდობა, — დაიბუხუნა მოსულმა.

— ნოდარს გაუმარჯოს! — ერთხმად მიესალმნენ საბა და პეტრე.

ოთარმა ხელადა და ჩანთა ჩამოართვა ნოდარ პაპას, ფატიკო ჯუბაჩის გახდაში მიეშველა, ხათუნამ ღუმელთან სკამი დაუდგა.

— რას შვრებით, როგორ ზამთრიანობთ?

— ჯერ ზამთარი სად არი, თოვა დღეს დაიწყო, — გაეპასუხა საბა. — არ იტყვი, როგორ მოგვაგენი?

— ფატიკოსაგან გავიგე. სწორე გითხრა, ძაან გამიხარდა, ვთქვი, თუ დაბადების დღეა, ბარემ ღვინით დავლოცო ის ბიჭი-მეთქი. ვიცოდი, არც სხვას დარჩებოდა შეუმჩნეველი ამ სახლიდან გამოსული შუქი და ამბის გასაგებად ამოვიდოდა.

— როგორც მე და პეტრე! — ჩაურთო საბამ.

ნოდარმა ღუმელზე მიფიცხებული ხელები მოიფ-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვნიტა.

— დედაკაცს ქათამი მოვახარშინე, ღვინო ხო იცით, მაქ და მაქ...

პეტრე ფეხზე წამოდგა.

— მე წავალ!

— სადა? — ხელი ჩაავლო საბამ.

— რას ამბობ, ბიჭო, — პეტრესკენ ხელი გაიწოდა ნოდარმაც, — ღვინო მომიტანია, ირაკლის სადღეგრძელო არ დავლიოთ? იმისი მშობლები არ ვახსენოთ?

— ნანოს ამბავს ჩავუტან, ვეტყვი, რომ გოგო აქ არი, თორემ ლოდინით გული გადაეღევა.

— ჰოო, წადი, წადი! — ხელი გაუშვა საბამ.

— იცოდე, ღმერთი არ გაგიწყრეს და არ დაიგვიანო, თორემ, ზედ არ შემოგხედამ, — დაადევნა კარებში გასულ პეტრეს ნოდარმა.

პეტრემ სწრაფად ჩაირბინა დაღმართი. ეზოში რომ შეაბიჯა, ნანო აივანზე დახვდა. მარტო რომ დაინახა, გოგო რაღა უყავო, გადმოსძახა.

— იქ არი! — თქვა პეტრემ.

— სადა, მიხაკოსთანა?

— პელას სახლში!

— რას ამბობ, ადამიანო, იქ რა უნდა?

— ოთარიც იქ გახლავს, — დაუმატა პეტრემ და, ღამე რომ არა, ნანო მის ეშმაკურ ღიმილს შენიშნავდა.

— კაცო, ხომ არ გადაირიე!

— ჩემი თუ არ გჯერა, წადი და ნახე!

— ი?!

— ერთიც იქ არი და მეორეც!

პეტრე შინ შევიდა, ნანო უკან მიჰყვა.

— კარგი, პეტრე, რა ხუმრობის ხასიათზე დამდგარხარ!

— მე არ ვხუმრობ!

— ნოშრე დაიფიცე!

— ნოშრესაც გეფიცები და ხათუნასაც.

ახლა კი დაიჯერა ნანომ, ლოყაში ხელი იტკიცა.

— უიმე, დედა, მერე რა არხეინად ლაპარაკობ! იქ რა უნდათ, ვინც გაიგებს, რას იტყვის, — ნანო კარისკენ შებრუნდა, პეტრემ მხარში ხელი ჩაავლო.

— სად მიდიხარ, ქალო! მე რა, მოვკვდი, არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო? დაჯექი, რაღაცას მოგიყვები.

და რაც ნახა, დაწვრილებით უამბო.

— დაბადების დღეს უხდიან? — მეტად ნასიამოვნებ ნანოს ცრემლები მოერია, — ჩვენ ხომ ფიქრადაც არ მოგვივიდოდა, ვენაცვალე მაგათ.

პეტრემ ყველი, კომბოსტოს მწნილი, ზამთრის სუსხისაგან ოდნავ შეყვითლებული ოხრახუში, დაფნის ფოთოლში მოხარშული შაშხის ნაჭერი, ერთი დოქი ღვინო დიდ ჩანთაში ჩაწყო, ზევიდან გაზეთში გახვეული შოთები დააწყო და უკან გაბრუნდა.

პელას სახლში უკვე შემოსხდომოდნენ სუფრას. საბჭოს თავმჯდომარე გოგია და მთლად გაჭაღარავებული, ქერჩის ბრძოლების მონაწილე, სკოლის დირექტორი დომენტი მომატებოდათ. უპატრონო სახლიდან გამოსული შუქი იმათაც შეენიშნათ და წამოსულიყვნენ.

სუფრას დომენტი თამადობდა. ფეხზე იდგა, მარჯვენა ხელში ჭიქა ეჭირა, მარცხენას დროდადრო იქით მიმართავდა, საითაც ხათუნა, ოთარი და ფატი იდგნენ.

— ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. აი, თუნდაც დღევანდელი მაგალითი. უპატრონო სახლში მათ სიცოცხლე შემოიტანეს, კერაზე ცეცხლი გააჩაღეს, შუქი აანთეს და კიდევ რა გააკეთეს, ხალხო, გადაწყვიტეს გაეგრძელებინათ ის შესანიშნავი ტრადიცია, რაც ჯარისკაცის დედას ჰქონდა წესად — ყოველ წელიწადს, ზამთრის ამ დღეს შვილისათვის დაბადების დღე გადაეხადა. გაგიმარჯოთ, შვილებო, ჩვენი სკოლის საამაყო მოსწავლეებო, — დომენტის მღელვარებისაგან ტუჩთან მიტანილი ჭიქა აუკანკალდა, ღვინო სწრაფად მოსვა და დაჯდა.

საბამაც დალოცა ყმაწვილები.

ამასობაში პეტრემ ჩანთა დაცალა, თვითონ საბასა და ნოდარს შუა თავისუფალ ადგილას მოთავსდა და ღვინით სავსე დოქი ფეხებთან ჩაიდგა.

თამადამ ომში დაღუპულების სადღეგრძელო თქვა. ჯარში წასულებიდან ვინ არ გაიხსენეს, სათითაოდ ყველაფერნენ მათ ამბებს.

ბოლოს ნოდარმა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ წამოიწყო, მას სხვებიც აჰყვნენ.

ყმაწვილები ერთხანს დუმილით უსმენდნენ უფროსებს, თითო ნაჭერი ნამცხვარი შეჭამეს და, რადგან მესუფრენი აშლას არ აპირებდნენ, შინ წავიდნენ.

სიმღერა კი გუგუნებდა და გუგუნებდა. რახანია გაიჭრა გარეთ, დაეშვა დაბლა და მთელ სოფელს მოეფინა, ვინღა არ გაიგო, ვის არ დააცქვეტინა ყური. კაცებმა ჩაიცვეს და ფერდობისაკენ გაუტიეს. იმ ღამეს კიდევ რამდენიმე ქვევრს მოხადეს თავი. პელას სახლში სუფრა გაიზარდა, სიმღერას მეტი ეშხი და ღონე შეემატა.

— ყოველ წელს, აი, ამ დღეს აქ შევიკრიბებით და ირაკლის დაბადების დღეს აღვნიშნავთ, ეს გადაწყვეტილი საქმეა — ვინ იცის, მერამდენედ ამბობდა დომენტი.

— დავადგინეთ და ეგ არი! — კვერს უკრავდა საბჭოს თავმჯდომარე.

საბა ყვიროდა:

— ამ სახლს სოფელმა თუ არ მიუგდო ყური, სხვა ვინ მოვა. თუ უპატრონობისაგან დაინგრა, ჩვენი სირცხვილია!..

— პირველ რიგში ვენახს უნდა მიხედვა ხალხო, ვენახს! — სიტყვა გააწყვეტინა საბას ნოდარმა, — გინახავთ, ძირს როგორ ყრია?

— ბოძი მაგას აღარ აქ ხეირიანი და მავთული, — იყვირა ისევ საბამ, — რა დაიჭერს, კაცო! ვაზსა შვილივით მოვდა და გაფროხილება უნდა, როგორც უპატრონებ, იგრე გამოგადგება.

— ჩემგან რასაც მოითხოვთ, მზადა ვარ, — პირობას იძლეოდა საბჭოს თავმჯდომარე გოგიაც.

პეტრე ხმას არ იღებდა, მარტო სხვებს უგდებდა ყურს. ნეტა რად იჯდა ჩუმად? იქნებ ეშინოდა, რო ვთქვა და ვერ შევასრულოო. არა, პეტრე არც მშიშარა იყო და არც უპირო, იცოდა კაცური სიტყვის ფასი. ფეხზე წამოდგა, ხელი ასწია, მომისმინეთო.

— ამ სახლის წინ ვენახი რომ არი, მე მოვხნავ, ძირებსაც გამოვთოხნი.

— გენაცვალე სულში! — იყვირა საბამ.

— შინ ალაზნიდან მოტანილი მუხის მორი მაქ, ბოძებად დავხერხავ თუ არა, აქ ამოვზიდამ, კაცი არ ვიყო, თუ დამენანოს! ალალი იყოს პელას ვენახისათვის.

— ეგე, კაცო, — წამოიძახა საბამ და ფეხზე წამოდგა, პეტრეს კისერში ხელი მოსდო, თავი ძირს დაახრევინა და აკოცა. — ფული გაძლიე, არ მამყიდე, ბეტონის ბოძებში გამიცვალე-მეთქი და არ გამიცვალე. ოქროს გული გქონია, ოქროსი.

პეტრემ ჭიქა გამოცალა და „გაფრინდი, შავო მერცხალო“ წამოიწყო.

რომ ირიჟრაჟა, მოქეიფენი აიშალნენ. წყვილ-წყვილად დაუყვნენ დაღმართს. მიდიოდნენ და მუხლამდე თოვლს მხიარული მასლაათით მიაბუქებდნენ.

პეტრე და საბა ერთად წამოვიდნენ.

ფერდობზე პელას ვენახი მოჩანდა. გაუსხლავი ვაზი

ერთმანეთში ლერწებით გაბმულიყო, ალაგ-ალაგ მავთულები შესწყვეტოდა წაქცეულ ბოძებს.

— ბოძებს რომ ჩაყრი, მავთულზე არ დაღონდე, სახლში იმდენი მაქ, სამ ამისთანა ვენახში გაიბმება. მოვიტან და გავაბათ. ჰა, როგორი სიტყვაა! — პასუხის მოლოდინში საბა პეტრეს შეაჩერდა.

— კაცი ხარ, საბა, კაცი! — დაუდასტურა პეტრემ და უფრო ქვევით გაექცა თვალი. თოვლის საბურველში მიყუჟული სოფელი ნელ-ნელა იღვიძებდა. თეთრი სახურავებიდან სოკოებივით ამოჩრილი საკვამურები იისფრად ბოლავდა, ფანჯრებიდან ნათურები ჯერ კიდევ ყვითლად აფრქვევდნენ შუქს. ქუჩებში ისევ ციმციმებდა ნეონის ლამპიონების შუქი. ძაღლი ყეფდა, ბღაოდა ხბო. კრიახობდნენ საქათმიდან გამოშლილი ქათმები.

პეტრეს სახლში არც სინათლე ენთო, არც ბუხარი ბოლავდა. ჩანდა, ნანოს და ბავშვებს ისევ ეძინათ. სიმშვიდეა და იმიტომ სძინავთ! პეტრეს ბავშვობა კი არ იყო მშვიდი. მაშინ დიდსაც და პატარასაც ძილი გამკრთალი ჰქონდა, ომმა დაუკარგათ სიმშვიდე. ომმა ცრემლი და მწუხარება მოუტანა ბევრს, აი, როგორც პელას სახლს. ეს ეზო-ყურე ირაკლის შვილებისა და შვილიშვილების ჟრიამულს უნდა ეზანზარებინა.

საბამ ლაბადის კალთაზე მოქაჩა.

— არ წავიდეთ?

— წავიდეთ!

ბილიკს რომ დაადგნენ, წინ ხათუნა და ფატი შემოხვდათ, თოვლიან აღმართზე სიცილ-კისკისით ამორბოდნენ.

— საით, გოგოებო, შვილებო! — შეუძახათ საბამ და ხელებგაშლილი წინ გადაუდგა.

— სკოლაში წასვლამდე სახლს მივალაგებთ, — მიუგო ხათუნამ და პეტრეს შეხედა, — როგორა ხარ, მამიკო?

პეტრემ თავი დაუქნია. მთელი სახე უცინოდა. ოთარი სადღააო, შეეკითხა.

— წისქვილში საფქვავი წაიღო ადრიანად, — ხათუნას მაგიერ უპასუხა ფატიმ.

გოგონები საბა პაპას ხელებქვეშ გაუძვრნენ და გაიქცნენ.

საბამ ღიმილით გააყოლა თვალი.

— აი, ქართველო, ვინ უპატრონებს იმ სახლს, იმ ვენახს. ამათ არაფერი ავიწყდებათ, ჩვენ კი...

პეტრემ ბილიკზე ჩასვლა დააპირა. საბამ გააჩერა.

— მოიცა!

— რა იყო?

— ერთ წუთს დადექი!

პეტრემ საბას შეხედა, ეგონა რამეს ეტყოდა, სმენად იქცა.

თოვლზე ფეხი რომ არ დასცდენოდა, საბა მოხერხებულად დადგა, მერე ორივე ხელი პირზე რუპორივით მიიდო და ჩანისლულ სივრცეს გასძახა:

— ეჰეჰეჰეეე, ირაკლი, ბიჭო...

ძახილი გაღმა სოფლისკენ გაიჭრა, დათოვლილ ხეებს, სახლებს, თივის ზვინებს, უფრო შორს ჯანღში მგლებივით დაყუნცულ გორაკებს შეასკდა და ექოდ იქცა:

— ბიჭოოო... ჭოოო... ოოო...

პეტრეს მოეჩვენა, თითქოს მთელი მიდამო წუთით გაირინდა, დუმილად იქცა. ძაღლებმა ყეფა შეწყვიტეს, აღარც ხბო ბღაოდა, მიყუჩდნენ ქათმები, დილის ცელქი სიო სადღაც გაიცქნაფა და ბუხრებში კვამლი გაიყინა.

ექო რომ მიწყდა, საბამ თვალებზე მომდგარი ცრემლი ცერა თითით ჩამოიწმინდა. პეტრემ მხარზე გადახვია ხელი და ორივე მდუმარედ დაუყვა თოვლიან ბილიკს.

ჩვენი
კლუბის
სტუმარია
საქართველოს
ალკა
თბილისის
საქალაქო
კომიტეტის
მეორე
მდივანი
ირინე
თევდორაძე.

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილოძე

ლაკვალეკა ზაფხულიც

ისინ მიკყვებოდა

მუდამ ასეა. სექტემბერში, სკოლის პირველ ზარზე შეკრებილნი ზაფხულის საინტერესო დღეებს იგონებთ ხოლმე. სადაც არ უნდა იყოთ, პიონერთა ბანაკებში, ლაშქრობა-მოგზაურობებში თუ ნათესავებთან სოფლად, უკანდაბრუნებულებს სკოლის პიონერთა ოთახში მოგაქვთ შთაბეჭდილებებით სავსე დღიურები, ზაფხულში გადაღებული ფოტოსურათები, სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის დამზადებული საჩუქრები.

ერთხელ, თბილისის სკოლების პიონერთა რაზმების საბჭოს თავმჯდომარეთა შეკრების ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა:

— სადაც არ უნდა წავიდე, ჩემი პიონერული დავალება ყველგან თან მიმყვება... გული არ მითმენს, რომ რასაც პიონერული აქტივის სკოლაში გვასწავლიან, სხვას არ გავუზიარო...

როცა მეკითხებიან: — სკოლაში რა პიონერული დავალება გაქვსო, ყველას სიამაყით ვეუბნები, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ვარ-მეთქი!

მეგობრებმა, თანატოლებმა მეთაურად აგირჩიეს! ეს დიდი პატივია! — მითხრა ერთმა ვეტერანმა და მიამბო, თუ როგორ გამოარჩევდნენ ჩვენი ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციის შექმნის გარიჟრაჟზე ის და მისი თანატოლები თავიანთ მეთაურებს, როგორ ენდობოდნენ და ყურად იღებდნენ მათ რჩევას...

ასეთი აქტივისტი ბევრი მოხვდება პიონერთა ბანაკში. თითოეულ თქვენგანს ქალაქგარეთ თუ ქალაქის პარკებში ელის პიონერთა ბანაკი, ტურისტული გზები და ბილიკები, მეხუთე შრომითი მეოთხედის სვლაგეზები... ბანაკში ჩამოსულნი პირველსავე საღამოს შეიტყობენ ხოლმე აქტივისტების ბიოგრაფიას, ბანაკის რაზმებისა და რაზმეულის საბჭოებიც ამის მიხედვით დაკომპლექტდება.

აქტივისტებს უნდა გახსოვდეთ, რომ ბანაკი მეორე სკოლაა. სექტემბერში, რაზმეულის საბჭოს, ზაფხულის ანგარიშს აბარებს რაზმეულის თუ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, მესაყვირე თუ მედოლე, კედლის გაზეთის რედაქტორი, პიონერული საქმის წამომწყები... ისინიც ყვებიან, რა გააკეთეს, რომ ზაფხული საინტერესო ყოფილიყო.

ზოგმა წუწუნი იცის, ზაფხულში უნდა დავისვენოთ, რა დროს მუშაობაა. ზოგიერთი არც კი ამხელს, თუ

რა პიონერული დავალება ჰქონდა სკოლაში, თავის რაზმეულში. რასაკვირველია, ეს სწორი არ არის.

სკოლაში თუ პიონერთა ბანაკში პიონერული აქტივი უფროსი პიონერხელმძღვანელის საიმედო დასაყრდენია, იგი ყოველთვის უნდა გამოირჩეოდეს საქმის ცოდნით, ორგანიზატორული ნიჭით, თანატოლებთან მეგობრობით, ნაკითხობით, სპორტისა და შრომის სიყვარულით, ბანაკში სწორედ ასეთი აქტივისტები სჭირდებათ.

წელს მეტად საინტერესო ზაფხული გველის. თითოეულმა ჩვენგანმა შრომითი ენთუზიაზმით უნდა გახადოს იგი საინტერესო და მიმზიდველი.

გადავშალოთ ზაფხულის კალენდარი, ვნახოთ, რას გვკარნახობს.

პიონერთა ბანაკები ძირითადად 10 ივნისიდან შეუდგებიან მუშაობას; თუ საჭიროებამ მოითხოვა, ბანაკის

ირინე თევდორაძე

რაზმეულის საბჭოს შეახსენეთ, რომ ამ 55 წლის წინ, 16 ივნისს, ყირიმში შეიქმნა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა საკავშირო ბანაკი „არტეკი". ამასთან დაკავშირებით, ერთხელ კიდევ გადაავლეთ თვალი შარშან, „არტეკში" მსოფლიოს ბავშვების დიდ ფორუმზე ნორჩი თაობისადმი ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას. იქნებ რომელიმე არტეკელი თქვენს ბანაკშიც ისვენებს ან ბანაკის მახლობლად ცხოვრობს? მოძებნეთ და პიონერულ კოცონთან სასაუბროდ მოიწვიეთ.

...22 ივნისს დიდ სამამულო ომში დაღუპულნი გაიხსენეთ, პატივი ეცით იმათ ხსოვნას, ვინც თქვენი ბედნიერების, ჩვენი სამშობლოს თავისუფლების საქმეს შეეწირნენ.

...1945 წლის 24 ივნისს, 35 წლის წინათ წითელ მოედანზე გამარჯვების პარადი გაიმართა. ეს დღეც ბანაკში ზეიმით უნდა აღინიშნოს.

წლეულს დიდი სპორტული ზაფხული გვექნება. 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე გაგრძელდება „ოლიმპიადა-80". მოსკოვში გამართული დიდი სპორტული ასპარეზობის ექო მოედება ბანაკებს, გაყვება ყველა სოფლისა და ქალაქის გზებს, ტურისტულ ბილიკებს... ჩართეთ ტელევიზორი, უსმინეთ რადიოს, ეცადეთ, საფოსტო განყოფილებიდანაც დროზე მიიღოს ბანაკმა ჟურნალ-გაზეთები; იმ დღეებში ბანაკში შემოიღეთ სპეციალური სტენდი „ოლიმპიადა-80" და ზედ სისტემატურად გამოაკარით ცნობები ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა წარმატებებზე. არ დაგავიწყდეთ, მათ მხარდაჭერაც სჭირდებათ. გულშემატკივრებმა გაამხნევეთ ისინი, ბანაკის სახელით წარმატებები მიულოცეთ.

ოლიმპიადის დღეებში ბანაკში ყოველდღე უნდა ჩატარდეს სპორტული ღონისძიებები, ლაშქრობა-მოგზაურობები, „მცირე სპორტული ოლიმპიადები". შემდეგ, სექტემბერში, სკოლაში მობრუნებულები სკოლის კომკავშირის კომიტეტს, რაზმეულის საბჭოს ანგარიშს ჩააბარებთ ჩატარებული მუშაობის შესახებ, წარუდგენთ ბანაკში მიღებულ მედლებს, სიგელებსა თუ სხვა სპორტულ ჯილდოებს.

ზაფხულში კვლავ გრძელდება ვ. ი. ლენინის 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო პიონერული მარშის სვლაგეზებით მუშაობა. როცა 1981 წლის იანვარში ამ სვლაგეზების მიხედვით თითოეული რაზმეულის, რაზმის მუშაობა დაჯამდება, ღონისძიებათა ნუსხაში აქტივისტებმა ზაფხულის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგებიც შეიტანეთ.

ნუ დავიწყებთ თქვენს უმცროს მეგობრებს — ოქტომბრელებს.

„ოლიმპიადა-80"-ის საზეიმოდ დახურვის მომდევნო დღეს, 4 აგვისტოს, მთელი ყურადღება ოქტომბრელებს უნდა დაეთმოს.

1924 წლის 4 აგვისტო ოქტომბრელთა ჯგუფების დაბადების დღედ ითვლება, ეს დღე ბანაკის ყველაზე პატარა დამსვენებლების ზეიმად უდა იქცეს.

ბანაკში უნდა მოიწვიოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატები, რომლებიც მოგითხრობენ, თუ რა გაკეთდა ამ ყრილობის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში, როგორი წარმატებები გვაქვს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ამასთან ერთად ისინი იმასაც გიამბობენ, თუ როგორ ემზადება მათი სოფელი და რაიონი პარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად. ბანაკში ჩამოსული წითელკვალმაძიებლები მუშაობას გააჩაღებენ საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. მათ თქვენი დახმარებითა და მონაწილეობით უნდა შეადგინონ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად აღორძინებული სოფლის ისტორია.

ყველა ჩამოთვლილი საკითხის შესრულებაში, რომლებსაც რაზმეულის საბჭო შემოგთავაზებთ, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ. ამას კი ადვილად შეძლებთ, თუ ბანაკში პიონერული აქტივის სკოლა შეიქმნება და პირველ რიგში, თვით თქვენ აწონ-დაწონით, კარგად გაიაზრებთ და გააანალიზებთ ყოველ პიონერულ საქმესა და თაოსნობას.

პიონერული ცხოვრება ზაფხულში არ წყდება, დაიმახსოვრეთ რჩევა: იყავით დამოუკიდებელნი, თვითონ თქვენ უნდა წარმართოთ თქვენი ცხოვრება.

იყავით კოლექტიურნი, ეცადეთ, გაერკვეთ ერთიმეორის ინტერესებში.

იყავით ახალწამოწყებათა ინიციატორები; უფროსების ძალდატანება და თქმა ნუ დაგჭირდებათ, საქმე საკუთარი სურვილით გააკეთეთ.

თქვენი ბანაკის ცხოვრება დაუკავშირეთ მის ირგვლივ მიმდინარე ამბებს, იქ გაჩაღებულ საქმიანობას... უნდა იცოდეთ, რით ცხოვრობს ამ პერიოდში ჩვენი ქვეყანა, რას აკეთებენ ბანაკის მახლობლად კოლმეურნეები თუ ტყისმცველები და ა. შ.

თან იქონიეთ უბის წიგნაკები შიგ ჩანიშნული ზაფხულის გეგმებით, და ამ წიგნაკებში ჩაიწერეთ ბანაკში გაცნობილი თანატოლების მისამართები, შთაბეჭდილებები... ეცადეთ, ბანაკიდან ჯანსაღნი, კუნთმაგარნი, ხალისიანნი დაბრუნდეთ... ეს თქვენზეა დამოკიდებული.

ირინე თევდორაძე

ვართ სალაშქროდ, ვატარებთ პიონერულ შეკრებებს, საოჯახო საქმეებში ვეხმარებით მარტოხელა მოხუცებს, ვაწყობთ ექსკურსიებს. მოვაწყვეთ, მაგალითად, ასეთი ექსკურსია: საჩხერე-გორი-თბილისი. გავეცანით საჩხერის რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილებს. გორში დავათვალიერეთ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, საგურამოში — ილიას სახლ-მუზეუმი, თბილისში — ავლაბრის არალეგალური სტამბა, ვნახეთ მთაწმინდის პანთეონი, უცნობი ჯარისკაცის საფლავი და სხვა ადგილები.

ვ. ი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავთან დაკავშირებით მოვაწყვეთ ბელადის კუთხე დევიზით: „გვახსოვდეს, გვიყვარდეს, შევისწავლოთ ილიჩი“, სკოლის ეზოში გავაშენეთ „ლენინური ხეივანი“, რაზმი ჩაბმულია ექსპედიციაში — „ლენინის ოცნების გზებით“.

ასე რომ, მარინა ხელმძღვანელის დახმარებითა და მონაწილეობით ჩვენი მუშაობა უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და სასარგებლო გახდა.

ირმა კერესელიძე,
საჩხერის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლა, V კლასი.

ჩვენ ვსწავლობთ ესპერანტოს

ჩვენი სკოლის ინტერკლუბში სულ ახლახანს ესპერანტოს შემსწავლელი წრე შეიქმნა. წრეს ხელმძღვანელობს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ესპერანტოს შემსწავლელი წრის წევრი, ჩვენი სკოლის მეათეკლასელი მ. გვენეტაძე.

ესპერანტოს შესახებ ბევრი გვსმენია, მაგრამ მისი შესწავლის შესაძლებლობა დღემდე არ გვქონია. წრის შექმნამ ეს ხარვეზი შეგვივსო: გავეცანით ესპერანტოს ფუძემდებლის ლაზარ ლუდოვიკო ზამენგოფის ბიოგრაფიას. უკვე წერა-კითხვაც ვისწავლეთ. ის კი არადა, რამდენიმე დღეში პირველ წერილებსაც გავუგზავნით ოდესელ მეგობრებს.

ბევრი რამ გავიგეთ მეგობრობის, მშვიდობისა და ძმობის ენის შესახებ. ესპერანტო წარმოიშვა სიტყვა „ესპეროსაგან“, რაც იმედს ნიშნავს.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, შეისწავლონ ესპერანტო. სულ რომ არაფერი იყოს, მარტო ერთი სიტყვის სწავლაც იკმარებდა — „სალუტონ“. ცოტას როდი ნიშნავს მშვიდობისა და ძმობის ამ შესანიშნავ ენაზე ნათქვამი მეგობრული სალამი.

ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლის ნორჩი ესპერანტისტები.

ჭადრები

ჩემი ლამაზი ქალაქის შუაგულში ჩაფიქრებული დგანან ბებერი, ასწლოვანი ჭადრები. ისინი სასოებით ინახავენ მოგონებებს ქალაქის წარსულზე — ისინი ხომ ბევრი მზიანი დარისა და ქარიშხლის მომსწრენი არიან. როცა ვინმე მგზავრი ახლოს ჩაუვლით, ჭადრები ოდნავ შეარხევენ რტოებს და ააშრიალებენ ფოთლებს, აკი მზეც არ იშურებს მათთვის ალერსსა და ცხოველმყოფელ სხივებს. ხეთა დაძარღვული ფესვები მიწის გულს ჩაჭკონებიან, მძლავრი ტოტები და ქოჩორა კენწეროები კი მზისკენ მიიწევენ, მაღლა და მაღლა.

ჭადრებს გული გამყოლი აქვთ, გარეგნობას კი ხშირად იცვლიან. გაზაფხულზე ისინი ზღაპრულად მომხიბვლელნი არიან, რტოებზე ნაზი კვირტები აუფეთქდებათ და მალე ხავერდოვანი, მწვანე, ნაზი და აქა-იქ დაკბილული ფოთლებით შეიმოსებიან.

წვიმის წინ ქარი აახმაურებს ჭადრებს, მათი ტოტები მძლავრად ეხეთქებიან ერთმანეთს, იგერიებენ ქარის შემოტევას. როცა გამოიდარებს, მზის სხივები წვეთებს ალმასივით ააბრჭყვიალებენ ფოთლებზე და ხეები საზეიმო სამოსით მოირთვებიან.

ჭადრებს ადამიანების სიახლოვე უყვართ.

აი, მათ ჩრდილქვეშ ორი ჯარისკაცი შეჩერებულა. აქაურები არიან. შვებულებით ჩამოსულან საზღვრისპირა რაიონიდან. გარშემო გოგო-ბიჭები შემოხვევიან და გასუსულები ისმენენ ჯარისკაცური ცხოვრების საინტერესო, სუნთქვის შემკვრელ ეპიზოდებს...

ჭადრებიც უსმენენ, მოწონებით არხევენ ტოტებს და აშრიალებენ ფოთლებს, თითქოს პატარებს არიგებენ: ისევე უერთგულეთ საშობლოს, როგორც ჩვენა ვართ მისი ერთგულიო, ისევე ღრმად გქონდეთ გადგმული ფესვები მშობლიურ მიწაში, როგორც ჩვენ გვიდგასო.

შრიალებენ ჭადრები ჩემი ლამაზი ქალაქის შუაგულში და შეჰხარიან მზესა და სიცოცხლეს.

ქეთინო კვაჭანტირაძე,
ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი.

ჯავახეთი მაისობს

ჰქუხს, მრისხანებს, შხეფებს ისვრის
წყალი თაფარავანის.
აბული ბანს ეუბნება,
მშვენება ცის თავანის...
დედამიწას ეფინება
მზის სხივების ბრჭყვიალი.
ქვემოთ მტკვარი ხევს მიაპობს,
მძლავრ ტალღების გრიალით.
ყვავილების კონა ელავს,
ნაირ-ნაირ ფერადი,
მინდვრებს, სერებს ტანზე შვენით
მოქარგული პერანგი...
გულს სილაღე ეუფლება,
ტკბილ ოცნებით გაივსო...
ალბათ მიხვდით: ჩემი ტურფა
ჯავახეთი მაისობს.

ქეთევან ლომსაძე,
თბილისის 132-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

ჩვენი ფანქრებიდან

გათენება

გაიცრიცა მნათობი,
მინავლულა მკრთალად,
ვარსკვლავებიც მიმქრალდნენ,
ცაზე აღარ ჩანან.
ცვარი ბრწყინავს მდელოზე —
მარგალიტი კრიალა,
ხის ტოტებიც ნიავმა
ნაზად ააჭრიალა.
ახლოვდება აისი,
ცას სიწითლე ედება
და ეს ღამე ყომრალი
უცნაურად თენდება.

თინა გოგიშვილი,
გორის რაიონის ზემო ხვითის 8-წლიანი სკოლა, VIII კლასი.

«მოსკოვის ოლიმპიადის ბელადებით!»

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲢᲐᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ

პასუხი № 1-ში დასმულ კითხვებზე

საფარის სამონასტრო ანსამბლი

საფარის სამონასტრო ანსამბლი მდებარეობს ახალციხის მახლობლად, მთაში. ანსამბლში შედის: წმინდა საბას გუმბათიანი ტაძარი, მიძინებისა და წმ. გიორგის ეკლესიები, პეტრე-პავლეს, დიმიტრის, იოანე ოქროპირის, იოანე ნათლისმცემლის და სტეფანეს სამლოცველოები, სამრეკლო, ათაბაგების სასახლის ნანგრევები, ციხე-გალავანი და სხვა ნაგებობანი.

პირდაპირი ისტორიული ცნობები საფარის მონასტრის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ძველ წყაროებში ხშირად იხსენიებიან საფარელის სახელით ცნობილი მოღვაწენი. საფარა მოხსენიებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". ისტორიულ წყაროებში გვხვდება სახელი ვინმე ივანე საფარელისა, რომელმაც 987 წელს იერუსალიმში გადაწერა იოანე ოქროპირის ცხოვრების ამბავი; საფარის დეკანოზს იოანეს 1040 წელს გადაუწერია ერთი ხელნაწერი; XI საუკუნეში ქართლის კათალიკოსის ტახტი ეჭირა გაბრიელ საფარელს, XII საუკუნეში კი იოანე მტბევარ-საფარელმა მოაჭედვინა ცნობილი ტბეთის სახარება. როგორც ვხედავთ, საფარელები თავის დროზე გავლენიანი პირები და კულტურის მოღვაწენი ყოფილან. აქედან ცხადი ხდება, რომ საფარა იყო არა მარტო უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ანსამბლი საქართველოში, არამედ ერთ-ერთი უძველესი და საყურადღებო სასულიერო ცენტრიც — აქ საუკუნეების მანძილზე ინტენსიური სამონასტრო-კულტურული ცხოვრება ჩქეფდა.

საფარის მონასტრის მეცნიერული შესწავლა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. საფარის მონასტერზე ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი, მეცნიერული გამოკვლევა აქვს ცნობილ შვეიცარიელ მოგზაურსა და სიძველეთა მკვლევარს დიუბუა დე მომპერეს. შვეიცარიელ სტუმარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მიძინების ტაძარში დაცულ ქვის კანკელს (ეს კანკელი მართლაც ქართული რელიეფური პლასტიკის ბრწყინვალე ნიმუშია და ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას ამშვენებს).

მომდევნო ხანებში საფარის სამონასტრო ანსამბლის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაღვივდა. აკად. მარი ბროსემ გამოაქვეყნა საფარის მონასტრის რამდენიმე წარწერა, თუმცა მის მიერ გამოქვეყნებული მასალა ზუსტი და უტყუარი არ არის. ბროსემ საფარის სამონასტრო ანსამბლის მთავარი ნაგებობის, წმ. საბას ტაძრის აგება შეცდომით სარგის ჯაყელს მიაწერა და ძეგლი 1309 წლით დაათარიღა; აქვე მან გამოთქვა მართებული ვარაუდი, რომ საფარის ანსამბლის ნაგებობები სხვადასხვა დროს არიან აგებული. მაგალითად, მიძინების ტაძარი მას ადრეულ ძეგლად მიაჩნია. შემდგომში ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ სწორად წაიკითხა და გაშიფრა მრავალრიცხოვანი წარწერები და წმ. საბას გუმბათიანი ტაძრის აგება მართებულად დაუკავშირა ბექა მანდატურთუხუცესის სახელს.

1905 წელს ე. თაყაიშვილმა მოინახულა და შეისწავლა საფარის მონასტერი, ამოიკითხა მისი წარწერები. ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ჩვეული ერუდიციით, მეცნიერული ალღოთი შეაფასა საფარის მონასტრის როგორც ისტორიული, ისე მხატვრული ღირებულება. თაყაიშვილის ნაშრომში ახალი ეტაპი იყო საფარის შესწავლაში. ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკად. ვახტანგ ბერიძის ღვაწლი. ფუნდამენტურ ნაშრომში „სამცხის ხუროთმოძღვრება" მკვლევარმა ამომწურავად გააშუქა ამ ძეგლთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

საფარის მონასტერში ყველაზე ადრინდელია X საუკუნეში აგებული მიძინების ეკლესია, მაგრამ საფარის მონასტრის ისტორიაში გარდატეხის ხანაა XIII საუკუნე. ამ დროს აქ დაიწყო ანსამბლის მთავარი შენობის — წმ. საბას ტაძრის მშენებლობა. ამავე დროს მიეკუთვნება სამრეკლო და, შესაძლებელია, ზოგიერთი სხვა ნაგებობაც.

წმ. საბას ტაძრის წარწერა, რომელიც თავის დროზე შეისწავლა და გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ, გვამცნობს, რომ ტაძარი ააგო სარგის ჯაყელის ძემ, ბექა მანდატურთუხუცესმა. საბას ტაძრის კედლებზე გამოსახული არიან ხელმბაყრობილი ჯაყელები: სარგისი, ბექა, სარგის II და ყუარყუარე, მათ წინ კი წმ. საბა. ბექას, როგორც ტაძრის ქტიტორ-მშენებელს, ხელში ტაძრის მოდელი უჭირავს. წმ. საბას ტაძარი აუშენებია ხუროთმოძღვარ ფარეზასძეს.

წმ. საბას ტაძართან ერთად აშენებული სამრეკლოს ქვედა სართულში ჯაყელების ოჯახთან დაახლოებულ ლასურისძეთა წმ. მარინეს სახელობის ეკვდერია.

XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისშივე უნდა იყოს აგებული ათაბაგთა სასახლე, ციხე და სხვა ნაგებობანი.

XVI საუკუნეში სამცხის გამაჰმადიანებასთან დაკავშირებით საფარა დაიცალა. ეს პროცესი XVII საუკუნის პირველ ნახევარში შეწყდა. ამ ხნის მანძილზე, ისე როგორც ზარზმიდან, აწყურიდან, საფარიდანაც გახიზნეს ხატები და სხვა განძეულობა. წმ. საბას ხატი ჩხარის ეკლესიაში შეინახეს.

სამონასტრო ანსამბლის ძირითადი, მაორგანიზებული ცენტრის, წმ. საბას ტაძრის შინაგანი სივრცე და გარეგანი მასები ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედია. ტაძარი ჩაჭედილია ორ კლდეს შუა, კარიბჭის კუთხე ზედ კლდეზეა მიბჯენილი. თავისებურია ტაძრის პროპორციები და შესასვლელთა განლაგება; შემცირებულია შენობის სიგრძე, გეგმა კვადრატს უახლოვდება. წმ. საბას ტაძარს სამი შესასვლელი აქვს. სადიაკვნოსა და სამკვეთლოში არ არის ჩვეულებრივი ნახევარწრიული ნიშები, აქ გაკეთებულია სამი სარკმელი. ტაძრის გარეგანი ფასადების გადაწყვეტა ძალზე რთულია. აღმოსავლეთის მხარე მიუდგომელია, სამხრეთის ფასადი საყრდენ კედელზე მაღლაა აწეული, ფასადის მარცხენა მხრის ნახევარს მიძინების ეკლესია ფარავს, რომლის კარიბჭე კლდეში ზის. მიუხედავად ამისა წმ. საბას ტაძრის საერთო მასების აღქმა ძნელი არ

ფეხბურთელი სპილოები

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოშინაურებული სპილოები თავიანთ მწყემსებთან ერთად ფეხბურთს თამაშობენ, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს, როგორც მოთამაშეებს, ისე მაყურებელსაც. სქელკანიანი გიგანტები ბურთს ფეხის ნაცვლად ხორთუმს ურტყამენ.

რვაფეხა უწყინარი არსებაა

ბრიტანეთის კოლუმბიის მკვიდრი, მყვინთავი ჯონ მაკლინი ირწმუნება, რომ რვაფეხას ძნელად თუ აიძულებ ადამიანს დაეხსნას თავს და უკბინოს. საშიშროებას რომ იგრძნობს, იგი ნაირ-ნაირ ეშმაკობას მიმართავს თავის გადასარჩენად, მაგრამ მოწინააღმდეგეს არავითარ შემთხვევაში არ შეუტევს. რვაფეხას ქამელეონზე ნაკლებ როდი შეუძლია ფერი შეიცვალოს. ხან, თითქოს შიშისაგან თეთრდება, ხან, თითქოს გაბრაზებისაგან წითლდება, ხან მწვანე ფერისა ხდება, ხანაც ყავისფერდება. ზოგჯერ, მტაცებლის გზა-კვალის ასაბნევად, შავი მელნის მსგავს სითხეს გამოყოფს და მასში უჩინარდება. ტყვედ ჩავარდნილი რვაფეხა მალე შინაურდება.

როგორ იგებენ?

დუბლინის ზოოპარკში ბინადრობს ოცდათექვსმეტი ბატი, რომლებიც ერთმანეთისაგან არჩევენ არა მარტო წელიწადის დროებს, არამედ კვირის დღეებსაც. ზამთრობით კვირაში ექვს დღეს ისინი ჰაბერტის ქალაქის პარკში ან სან-სტეფანის ბაღში ატარებენ, სადაც ამ დროს ბევრი ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობ თუ არა უცნს ეფოხიერ მხარეს?

ბავშვებო, მოგვწერეთ, რა არის ეს ფოტოზე გამოსახული, როდის შეიქმნა იგი და ვინ არიან მისი ავტორები.

არის. ტაძრის გუმბათის ყელი ფართოა და დაბალი. უარყოფილია დეკორაციული თაღედი. ფასადები მშვიდი და მარტივია, თუმცა მათ არც დინამიკა აკლიათ და არც მხატვრული ღირსება.

წმ. საბას ტაძარს სამხრეთიდან ეკვრის და მისი ფასადის ნაწილს ფარავს მიძინების ეკლესია. შენობა ერთნავიანია, სწორკუთხა მოხაზულობისა, დასავლეთიდან დაბალი მინაშენი აქვს, შიგნით — ნახევარწრიული აფსიდა*; პატრონიკეს უჭირავს შენობის მთელი დასავლეთი ნაწილი. იგი ორ მასიურ სვეტსა და სამ თაღზეა დაბჯენილი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, ერთი წმ. საბას ტაძრიდან, ერთიც მინაშენიდან. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები კამარებითა და თაღებით სამ-სამ ნაწილად იყოფა. ეკლესიის ინტერიერი მდიდრულად არის გაფორმებული ორნამენტირებული სვეტისთავებით.

საფარის მონასტრის მცირე სამლოცველოები უშუალოდ ტაძარზეა მიშენებული. ყველა ეს შენობა მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას. ტაძართან დაკავშირებულ სამლოცველოებს შორის მეტნაკლებად მნიშვნელოვანია წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. იგი ერთნავიანია, ნაგებია თლილი ქვით, აქვს ნახევარწრიული აფსიდა, ცილინდრული კამარა და ქვის ფილებით გადახურული ორფერდა სახურავი.

სამრეკლო, იოანე ნათლისმცემლისა და წმ. სტეფანეს ეკლესიები დგას აღმოსავლეთისკენ დამრეც კლდეზე. სამრეკლო სამსართულიანია, შესასვლელის ზემოთ პატარა ლუნეტი** აქვს; სამრეკლოს მეორე სართულზე ფანჩატურია, რომლის დაზიანებული ქვის ნაწილები აგურით შეუცვლიათ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია სწორკუთხედის ფორმისაა, ნაშენია თლილი ქვით, კედლები გვიან შეუთეთრებიათ, სარკმლებიც გადაუკეთებიათ. წმ. სტეფანეს მცირე ეკლესია მოშორებით, განმარტოებით, მონასტრის შესასვლელთან დგას. იგი ერთნავიანია, აფსიდით და ორფერდა სახურავით. მისი მოჩუქურთმებული კარნიზი, სახურავის დიდი ფილები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

საფარის სამონასტრო ანსამბლი მეტად თავისებური, საინტერესო მხატვრული და ისტორიული ძეგლია.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

---

* აფსიდა — წრიული ან მრავალწახნაგიანი მოხაზულობის, შეკრული კამარით გადახურული მოცულობა.

** ლუნეტი — კამარის ან გუმბათის წყობაში დატოვებული სასინათლო ღიობი.

გილობრივი მცხოვრები სეირნობს და საკენკს უყრის მათ. კვირა დღეს კი ზოოპარკში ბრუნდებიან, რადგან ამ დღეს ზოოპარკში მეტი ხალხია, ვიდრე სხვა პარკებში.

როგორ იგებენ ბატები, რომ კვირა დღე დადგა? ეს ჯერჯერობით არავინ იცის.

გოგრის მუზარადი

დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ქალაქებში, ისე როგორც ევროპაში, შემოიღეს კანონი, რომლის თანახმად მოპედის მძღოლებს აეკრძალათ უმუზარადოდ მანქანის მართვა. ველოსიპედისტებსაც აუცილებლად უნდა ეხუროთ მუზარადი.

ამ კანონის გამოქვეყნებისთანავე დატრიალდნენ თავისებური ჯურის საქმოსნები. და აი, საიმედო, მაგრამ ძვირადღირებული ლითონის მუზარადის ნაცვლად ათეულათასობით გაჩნდა ჯერ კუსტარულად, ინდივიდუალურად, შემდეგ კი არტელურად დამზადებული, მსუბუქი და იაფი გოგრის მუზარადი. მისი დამზადება ადვილზე ადვილია: საჭირო ფორმისა და ზომის გოგრას კარგად გამოასუფთავებ, გაახმობ, წითლად შეღებავ, საყბეურს მიამაგრებ და თავი უკვე ქუდში, უფრო სწორად, „მუზარადში“ გაქვს. შესახედავად მას ნამდვილისაგან თითქმის ვერ გაარჩევ, მაგრამ, სამწუხაროდ, განსხვავება მათ შორის მყისვე ნათელი გახდება, თუ მძღოლი თავს რაიმეს მიარტყამს...

ᲧᲕᲐᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტოინსპექციის სააღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი პ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ.

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

სკოლაში, მაღაზიაში, თეატრში, სტადიონზე წასვლისას გზაში ყველგან ხვდებით საგზაო ნიშნებს. ისინი სხვადასხვაფერად არიან შეღებილი და შორიდანვე მოჩანან. ამ ნიშნებიდან ბევრი თქვენთვის კარგად ცნობილია.

საგზაო ნიშნები იმავე მოვალეობას ასრულებენ, რასაც შუქნიშნები თუ ქუჩებისა და გზების სავალი ნაწილის მონიშვნის ხაზები. ისინი გვეხმარებიან მანქანების და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის რეგულირებასა და ორგანიზაციაში.

საგზაო ნიშნები უიოლებენ მუშაობას მძღოლებს, ეხმარებიან მათ და ქვეითად მოსიარულეებს სწორად გაერკვნენ გართულებული მოძრაობის ვითარებაში.

ავტომობილების მძღოლებმა კარგად იციან საგზაო ნიშნების მნიშვნელობა და საზრიანად სარგებლობენ ამ ნიშნებით. კარგად უნდა იცოდნენ ეს ნიშნები ველოსიპედისტებმაც და ქვეითად მოსიარულეებმაც.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 1 ივნისიდან ძალაში შედის ახალი სახელმწიფო სტანდარტის საგზაო ნიშნები.

ახალი საგზაო ნიშნები შვიდ ჯგუფად იყოფა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც ფორმით, ისე ფერით. იმისათვის, რომ სწრაფად განისაზღვროს ნიშნების დანიშნულება, მათზე აღნიშნულია განსხვავებული ნახატები.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ — გამაფრთხილებელი — აფრთხილებენ ავტომობილების მძღოლებს და ქვეითად მოსიარულეებს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ; დადგმულნი არიან მოსალოდნელი საშიშროების ადგილიდან გარკვეულ მანძილზე, გამოსაჩენ ადგილას. მათი ძირითადი ფორმაა წითელარშიიანი სამკუთხედი თეთრი ან ყვითელი ფონით.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ — პრიორიტეტის (უპირატესობის) ნიშნები — მიუთითებენ გზაჯვარედინების, ცალკეული სავალი ნაწილების გადაკვეთის, აგრეთვე გზების ვიწრო მონაკვეთების გავლის რიგითობას.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ — ამკრძალავი — კრძალავენ ავტომობილების მძღოლების და ქვეითად მოსიარულეების რაიმე მოქმედებას. აქვთ წითელარშიაშემოვლებული თეთრი და ლურჯი წრის ფორმა.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ — მიმთითებელი — ნებას რთავენ ავტომობილების მძღოლებს, იმოძრაონ გარკვეული მიმართულებით, შეას-

ᲡᲐᲛᲘᲔᲒᲘᲡᲘ

გეწაძე ა. — გამარჯვების მაისი (ლექსი) . . . გარეკ 2
პოლევოი ბ. — ყველაზე სამახსოვრო რეპორტაჟი (წერილი) . 1
მორჩიაული თ. — რამდენი ღიმილი, ფერები რამდენი! (ლექსი) 2
სამადბეგაშვილი გ. — ჩვენი ბორისი (მოგონება) . . . 3
გემაზაშვილი ზ. — გზები და მახეები (მოთხრობა) . . . 5
სვანი მ. — ლაპარაკობს ივანე შიოშვილი; (წერილი) . . 9
გელოვანი მ. — მთაწმინდიდან სმოლენსკამდე (ლექსი) . . 10
რუსაიძე გ. — უფროსი ძმის კვალდაკვალ (წერილი) . . . 10
სეტიელი მ. — გამარჯვებათა გზებით (წერილი) . . . 10
აფხაზავა ნ. — „აჩუქე ადამიანებს სიხარული“ (ნარკვევი) . 12
ხარაზიშვილი ნ. — ყველაზე საჭირო ფერი (წერილი) . . 14
ხერგიანი მ. — ჯადოქარი დირიჟორი; საიმედო ბოლო რგოლი (წერილები) 16
ასლამაზიშვილი ვ. — დუმილი ერთი წუთით (მოთხრობა) . 18
ᲙᲝᲪᲠᲜᲘ. **თევდორაძე ი.** — დავალება ზაფხულშიც თან მიგყვებათ (წერილი) 23
მარკოზაშვილი შ. — სიკეთის მთესველი (ნამდვილი ამბავი) . 25
ᲐᲘᲡᲘ 26
ᲛᲪᲘᲠᲔ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ 28
ᲘᲪᲜᲝᲑ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ? **ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ Ა.** — საფარის სამონასტრო ანსამბლი (წერილი) 30
ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲙᲔ 30
ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲐ! 32
ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲢᲣᲚᲘ . . . . . გარეკ. 3

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲘᲡᲐ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ᲑᲐᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲚᲘᲐ

სარედაქციო კოლეგია: ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲓᲝᲓᲝ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ, ᲒᲐᲘᲝᲖ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მხატვარი-რედაქტორი), ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲚᲘᲑᲐᲫᲔ, ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲚᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲨᲐᲛᲤᲠᲘᲐᲜᲘ (პ/მგ. მდივანი), ᲚᲘᲐᲜᲐ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲕᲔᲠᲘᲙᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
რედაქტორის 93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05
განყოფილებების 93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა წარმოებაში 24.III-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/V-80 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 873. ტირ. 149.800. უგ 08480.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

© „პიონერი“, 1980 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულონ ნიშნებზე აღნიშნული ესა თუ ის მითითება, ხოლო ქვეითად მოსიარულეებს ანიშნებენ, იმოძრაონ გარკვეულ ზოლზე. მითითების საერთო ნიშანია ცისფერი წრე.

მეხუთე ჯგუფის ნიშნები — საინფორმაციო მაჩვენებლები — შეიცავენ სხვადასხვა ინფორმაციას მოძრაობის რეჟიმის თავისებურებებზე ან გზაზე დასახლებული პუნქტების არსებობაზე. მათ აქვთ კვადრატის ან მართკუთხედის ფორმა და ცისფერი, ყვითელი ან მწვანე ფონი.

მეექვსე ჯგუფის ნიშნები — მომსახურების ნიშნები — გვაწვდიან ინფორმაციას მომსახურების შესაბამისი ობიექტების მდებარეობის შესახებ. აქვთ ცისფერი მართკუთხედის ფორმა.

მეშვიდე ჯგუფის ნიშნები — დამატებითი ინფორმაციისა — აზუსტებენ ან ზღუდავენ სხვა ნიშნების მოქმედებას. ეს ნიშნები თეთრი ფონის მქონე მართკუთხედია.

როგორც წესი, ყველა საგზაო ნიშანს დგამენ ქუჩის ან გზის მარჯვენა მხარეს მოძრაობის შემხვედრი მიმართულებით, რათა ავტომობილების მძღოლებმა და ქვეითად მოსიარულეებმა კარგად დაინახონ ისინი.

დიდ ქალაქებში და მთავარ მაგისტრალებზე დგამენ ჩამოსაკიდ ნიშნებს (მათ შიგნით მოთავსებულია ნათურები). ასეთი ნიშნები კარგად მოჩანს სიბნელეში.

საგზაო ნიშნებს ფარავენ სპეციალური შუქამრეკლი აპკით. მიახლოებული ავტომობილების ფარების შუქით ისინი ნათებას იწყებენ და მძღოლი მათ კარგად არჩევს სიბნელეში.

შვიდივე ჯგუფი შეიცავს მრავალ სხვადასხვა ნიშანს. „პიონერის" მომდევნო ნომერში მოგითხრობთ იმ ძირითად ნიშნებზე, რომლებიც უსათუოდ უნდა იცოდნენ ქვეითად მოსიარულეებმა და ველოსიპედისტებმა.

თავსატეხი



ნახაზზე წარმოდგენილია 5 წრე. თითოეული მათგანი დაყოფილია 4 დიდ (წრის მეოთხედ) და მცირე (წრის მერვედ) სექტორებად. ყოველ მცირე სექტორში უნდა ჩაიწეროს თითო რიცხვი 1-დან 32-ის ჩათვლით ისე, რომ ერთხელ ჩაწერილი რიცხვი არსად განმეორდეს.

ცენტრში მოთავსებული წრის სექტორებში რიცხვები უნდა ჩაიწეროს ისე, რომ ისინი წრით შემოფარგლულ დანარჩენ სექტორებშიც მოხვდნენ, ე. ი. პლუსებით აღნიშნულ ადგილას ჩა. წერონ.

წრეწირების ცალკეულ სექტორებში ჩაწერეთ რიცხვები ისე, რომ: 1. დიდი სექტორის შემადგენელ ორ პატარა სექტორში ჩაწერილი რიცხვების ჯამი ყველა წრეში ტოლი იყოს; 2. მცირე სექტორებში ჩაწერილი ყველა რვა რიცხვის ჯამი ერთმანეთს უდრიდეს.

მანანა ურუშაძე,
მახარაძის რაიონის სოფ. მახარაძის საშუალო სკოლა, VII კლასი.

გამოცანები

ერთ უსინათლო ინჟინერს
შავი სამოსი აცვია,
მიწის ქვეშ „მეტროს" აშენებს.
აბა, ვინ იტყვის, რა ჰქვია?

●

ჩემს კალთაში ფრინველები
და ცხოველი ბლომად არის,
წყაროების აკვანი ვარ,
ჯანმრთელობის—საწინდარი.

3. ლეჟავა

შარადები

ბოლქვოვანი მცენარეა,
მოაკელი წინა ბგერა,
რომ მდინარედ გადაიქცეს,
გარდაიქმნეს ათას ჩქერად.
იმ მდინარემ მინდორ-ველი
ააუვავა, აამღერა,
მოკამკამე ზღვაც დაბადა,
თვალს ახარებს მისი ცქერა.

●

გამოიცან: ტყეში ხარობს
ყვავილი აქვს ყვითელი,
ნაყოფი კი — საამურად
მოკიაფე, წითელი.
მუსიკალურ ბოლო ბგერით
შეიკვრება შარადა —
თუ რომელი სოფელია,
მყის მიხვდები თავადა.

ნ. ნასუაშვილი

პასუხი № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიკულზე"

კროსვორდი

ორაზულად: 1. აჩაჩა; 4. აკუცა; 6. აშარი; 9. სურამი; 10. მილანი; 12. პერმი; 13. სიო; 14. იფანი; 18. „ავრორა"; 19. ინა; 20. თხა; 21. აფრიკა; 25. აბაშა; 27. ასო; 28. ზაირი; 29. ოკეანე; 30. ანკარა; 32. იზიდა; 34. საათი; 35. ამალა.

შვეულად: 1. არმია; 2. აკორდი; 3. აცანა; 4. აფსნი; 5. უდრეკი; 7. აკაცია; 8. ირისი; 11. კიო; 12. პრაღა; 15. ირანი; 16. ენა; 17. ფხა; 22. გომელი; 23. ასი; 24. საჰარა; 26. აზოტი; 28. ზვავი; 31. ზამბია; 33. ათინა; 34. სიათა.

გამოცანები

1. პეპელა; 2. სამშობლო; 3. ჰაერი.

შარადები

1. ბიჭვინთა; 2. საფარა.

761